# ახალო წელიწადო, თვალი აგვიხილე და ქვეყნის გამთლიანების ნიჭი მოგვმადლე!





# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№151-152 (9831-32) 2024 წლის 30 დეკემბერი, ორშაბათი.

ფასი 1 ლარი


ნაპო მესხია

## სიმართლე აფხაზეთზე, ანუ იმაზე თუ როგორ გასხვისდა იგი



მთებს ამოფარებულმა მზემ, ბოლოს და ბოლოს, გამოანათა და მიანათა აფხაზეთისა და ცხინვალისკენ მიმავალ გზებს, განთიადია! ვითომ!

8-9-10



თემურ ქორიძე

4

## საახალწლო კომედიური წარმოდგენა

მეგობრების დაკვეთით და სალო ბაბოს შესრულებით

ვატო შაქარიშვილი

3

## რაც დრო გავა, მეტად გავაცნობიერებთ, თუ რა მასშტაბის ბრძოლა მოვიგეთ

თეიმურაზ ჯანელიძე

## როდის გაირყვნა და გათახსირდა ქართული პოლიტიკა?!



6

ნეოკოლონიალისტურ დამოკიდებულებაში რომ არ ყოფილიყო საქართველო, ვერც თინა ხიდაშელი დაიკავებდა თავდაცვის მინისტრის თანამდებობას, ვერც ნინო ლომჯარია გახდებოდა სახალხო დამცველი და არც სალომე ზურაბიშვილს ეღირსებოდა ორბელიანების სასახლის დიასახლისობა.



ბორის დავითაია

## ცხოვრებით დაბრძენებული სულით ძლიერი კაცები

13



# გზა დაგელოცოს, პრეზიდენტო!

## შალვა პაპუაშვილი:

**დღეს ისტორიული დღეა.** საქართველოს პარლამენტის სასახლეში, ამ ისტორიული დარბაზის კედლებში, სადაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და ხელი მოეწერა დამოუკიდებლობის დეკლარაციას; აქ, სადაც ფიცი დადო საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, 33 წლისთავზე ჩვენ ვმართავთ საქართველოს მეექვსე პრეზიდენტის ინაუგურაციის საზეიმო ცერემონიას.

დღევანდელი ცერემონიით, სრულად შედის ძალაში საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია და მყარდება საპარლამენტო რესპუბლიკა, რამაც კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და გააძლიეროს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული საფუძვლები.

ორი კვირის წინ, 2024 წლის 14 დეკემბერს, აქ, ამ დარბაზში, ახალი კონსტიტუციური წესით გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები. 300 წევრისგან შემდგარმა საარჩევნო კოლეგიამ 224 ხმით საქართველოს პრეზიდენტად ბატონი მიხეილ ყაველაშვილი აირჩია.

ქართული პოლიტიკის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პრეზიდენტის სტატუსი, დიდ პატივთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობაცაა. იყო პრეზიდენტი ნიშნავს

- **იყო სახელმწიფოს მეთაური, მაგრამ არა სახელმწიფოს მმართველი;**
- **იყო სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის სიმბოლო, მაგრამ არა პოლიტიკური აქტივისტი;**
- **იყო ქვეყნის და არა პირადი ამბიციების ერთგული.**

ეს ის ფაქიზი ზღვარია, რომლის დანახვაც ზოგიერთს გაუჭირდა და ადვილად გადალახა. მათ შორის, ამაზე პასუხიც იყო 26 ოქტომბერს 1 120 000 ჩვენი თანამოქალაქის მიერ მტკიცედ და ხმამაღლა თავისი ურყევი ნების დადასტურება, რომელიც დღეიდან ზურგს გაუმაგრებს საქართველოს მეექვსე პრეზდიენტს.

სწორედ ამ მაღალი ნდობიდან გამომდინარე, საქართველოს ახალი პრეზიდენტის როლი იქნება მნიშვნელოვანი ეროვნული თანხმობის მიღწევაში, ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის განმტკიცებასა და საქართველოს სათანადოდ წარმოჩენაში მსოფლიოს ერთა წინაშე.

ამ ისტორიულ დღეს გვსურს ასევე საფუძელი ჩავუყაროთ პრეზიდენტის ინაუგურაციის ახალ ტრადიციას. ისევე როგორც ტრადიციულ საპარლამენტო რესპუბლიკებში დღეიდან საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონია გაიმართება პარალამენტის სასახლეში.

სპეციალურად პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიისთვის საქართველოს პარლამენტმა გამოსცა საინაუგურაციო კონსტიტუცია. დაიბეჭდა მისი სამი თანაბარწონადი ეგზემპლარი, რომლებიდანაც ერთი შეინახება საქართველოს პარლამენტში, ერთი დაცული იქნება ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ერთი – საქართველოს ეროვნულ არქივში. საინაუგურაციო კონსტიტუციის ზუსტი ასლები ასევე გადაეცემა პრეზიდენტის საარჩევნო კოლეგიის წევრებს და ინაუგურიაციაზე დამსწრე პირებს.

მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მიმართ, რომელმაც საქართველოს პარლამენტს საჩუქრად გადმოსცა სპეციალურად ამ ცერემონიისთვის შემკული ბიბლია. ისევე როგორც საინაუგურაციო კონსტიტუცია, ეს ბიბლიაც დაცული იქნება საქართველოს პარლამენტში, როგორც მომავალი პრეზიდენტების საინაუგურაციო ბიბლია.

დღეიდან, საქართველოს ეყოლება პრეზიდენტი, რომელიც ხალხის ჭეშმარიტ ნებას და კონსტიტუციას დაიცავს! დღეიდან, საქართველოს ეყოლება პრეზიდენტი, რომელიც ეროვნული ღირებულებების და ინტერესების სადარაჯოზე იქნება!

მინდა, ბატონ მიხეილ ყაველაშვილს ვუსურვო ყოველი წარმატება მისი საპატიო მისიის აღსრულებაში.

ღმერთი იყოს მისი და ჩვენი სამშობლოს მფარველი!

## მიხეილ ყაველაშვილის სიტყვა ინაუგურაციაზე

**ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენ ერთ-ერთი გამორჩეული და ისტორიული ერი ვართ, რომლის ჩამოყალიბებაც უძველეს დროში დაიწყო – ჩვენმა ხალხმა შექმნა ქვეყანა და რაც მთავარია – მარადიული იდეა, რომელსაც სამშობლო ჰქვია. სწორედ ამ იდეას უფრთხილდება და იცავს მუდმივად ქართველი ერი. ჩვენ შევქმენით უნიკალური კულტურა, რომელიც აგერ უკვე საუკუნეებია, დროსა და სივრცეში უხილავი ძაფებით – საერთო ტრადიციებითა და ღირებულებებით გვაკავშირებს ქართველებს.**

მშვიდობისთვის მუდმივმა ბრძოლამ და მტრების მოგერიებაში გატარებულმა ასწლეულებმა ჩვენს ხალხს ხასიათი გამოუწრთო და ერთობის სასიცოცხლო მნიშვნელობაში დაარწმუნა; ერთობის, რომელიც ურთიერთპატივისცემაზე, ოჯახისა და სამშობლოს სიყვარულზეა დაფუძნებული; სადაც ძლიერი ოჯახი ძლიერ საქართველოს ნიშნავს, ხოლო ძლიერი საქართველო ძლიერი ოჯახის ტოლფასია. ქართული ოჯახი არის ადგილი, სადაც შვილები ბავშვობიდან სწავლობენ მშობლებისა და ბებია-ბაბუების პატივისცემას, თავისუფლების სიყვარულს, უსამართლობასთან ბრძოლას, განსხვავებული აზრის პატივისცემას და ეზიარებიან ჩვენი წინაპრების მიერ შემონახულ ტრადიციებს, რომელიც აერთიანებს ქართველ ხალხს".

* * *

**„ქართველი** ხალხის ბუნება, ისტორია და კულტურა კარგად ჩანს ჩვენს ენაში, რომელიც მსოფლიოს უძველეს ენათა შორის იკავებს საპატიო ადგილს. არაერთი ქართული სიტყვა, ფრაზა თუ გამონათქვამი ანარეკლია ჩვენი წარსულის, რომელიც სავსეა ქართველი ხალხის თავდადებისა თუ შეუპოვრობის ისტორიებით. ქართულ ენაზე შექმნილია მსოფლიო დონის არაერთი შედევრი, რომელიც დღესაც აღაფრთოვანებს მკითხველს. ქართული ენა ყველაზე კარგად აჩვენებს ქართველი ადამიანის ხასიათს და იმ ემოციებს, რომელიც მხოლოდ ჩვენთვისაა დამახასიათებელი".

ჩვენი ერის საბოლოოდ ჩამოყალიბებასა და შეკავშირებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ქრისტიანულმა მრწამსმა. მართლმადიდებლობა და ქართველობა დროთა განმავლობაში ერთმანეთისგან განუყოფელ, ერთ მთლიან ცნებად იქცა! ყოველთვის, როდესაც სამშობლოს იცავდა, ქართველმა კაცმა იცოდა, რომ ის იცავდა საკუთარ ოჯახსა და სარწმუნოებას.

მართლმადიდებლობამ ქართველი კაცის ჰუმანური ბუნების ჩამოყალიბებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი და სწორედ ქრისტიანული რელიგია გახდა ის გადამწყვეტი ფაქტორი, რამაც ქართველი ერის ევროპული და ცივილიზაციური არჩევანი საბოლოოდ განაპირობა.

„სამ საუნჯეს უნდა მოვუფრთხილდეთ განსაკუთრებით, ისე როგორც ეს დიდმა ილიამ დაგვიბარა – თუ მამულს, ენასა და სარწმუნოებას არ ვუპატრონეთ, ვერც კაცები ვიქნებით და ვერც მომავალ თაობას გავცემთ პასუხს! რომ არა ამ ღირებულებების ერთგულება, რომ არა საკუთარი თავის რწმენა და ერთმანეთის სიყვარული, ქართველი ერი ვერ შეძლებდა ამდენი განსაცდელის გამოვლას და გადარჩენას".

მე დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე, ჩვენ შევძლებთ ერთად მოვიშუშოთ ომის იარები და გავაგრძელოთ მრავალსაუკუნოვანი, ტრადიციებზე, ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე დაფუძნებული თანაცხოვრება – ერთიან და ძლიერ საქართველოში.

* * *

**თითოეულ** ჩვენგანს განსაკუთრებით გვტკივა ის ჭრილობა, რომელიც მავანთა მიერ თავსმოხვეულმა დაპირისპირებებმა მოგვაყენა და დაგვაშორა ჩვენს აფხაზ და ოს და-ძმებს, ვისთან ერთადაც ჩვენ საუკუნეების განმავლობაში თანავცხოვრობდით, ერთად ვქმნიდით საქართველოს ისტორიას, მხარდამხარ ვიცავდით ჩვენს სამშობლოს გარეშე მტრისგან, ვწერდით გამორჩეული მეგობრობისა და სიყვარულის ისტორიებს. ვქმნიდით ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ოჯახებს.

ჩვენ ყოველთვის გამოვირჩეოდით – ჰუმანური ბუნებით, განსხვავებულობის პატივისცემით, მაღალი ტოლერანტობით და რაც მთავარია, ყოველთვის ვიცოდით განსაკუთრებული მეგობრობა და ერთგულება, მოყვასის სიყვარული და პატივისცემა. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანები ძალიან მალე თვლიდნენ საქართველოს საკუთარ სამშობლოდ და საჭიროების შემთხვევაში, ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ მის დასაცავად. ისტორიას უხვად აქვს შემორჩენილი მსგავსი გმირობის არაერთი ფაქტი. მიხარია, რომ დღესაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ჩვენი მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართული ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მინდა მადლიერება და განსაკუთრებული სიყვარული გამოვხატო მათ მიმართ. ჩვენი ვალია, თითოეულმა მათგანმა საქართველოს სრულყოფილ მოქალაქედ იგრძნოს თავი.

ჩემთვის საქართველოს თითოეული მოქალაქე ძვირფასია, მათი შეხედულებებისა თუ პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად. მე ვაპირებ, ვიყო ყველას პრეზიდენტი, იმის მიუხედავად, ვის მოვწონვარ და ვის არა! ჩემი მომავალი ძალისხმევა მიმართული იქნება საზოგადოების კონსოლიდაციისა და გაერთიანებისკენ. მიუხედავად იმისა ვის რა შეხედულებები აქვს ამა თუ იმ საკითხზე – ჩვენ უნდა მოვახერხოთ გაერთიანება ჩვენი სამშობლოს, ღირებულებებისა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული წესების გარშემო. იმ მომავლის გარშემო, რომლის შენებაც ჩვენ ერთად უნდა განვაგრძოთ.

სიტყვა თავისუფლება, უფლებასთან ერთად – ასევე მოიცავს პასუხისმგებლობას და იმ ღირებულებების დაცვას, რომლისთვის ბრძოლამაც ეს თავისუფლება მოგვიტანა, ეს არის უკვდავი იდეისთვის ბრძოლა, რომელსაც საქართველო ჰქვია. სწორედ ეს იდეა მოიცავს ჩვენი ისტორიის, კულტურის, ტრადიციების, ეროვნული იდენტობისა და სარწმუნოების პატივისცემას.



ქართულ ენაში თავისუფალი სიტყვასიტყვით ნიშნავს, რომ იყო საკუთარი თავის - უფალი, არ იყო დამოკიდებული არავისზე და არაფერზე; საკუთარი სინდისის, ნამუსის, ადამიანობისა და შინაგანი ხმის გარდა. თავისუფლება უპირველეს ყოვლისა, სწორედ უფლის და ჭეშმარიტების ძიებას გულისხმობს საკუთარ თავში. ისევე, როგორც სიკეთისკენ და სიყვარულისკენ სწრაფვას, რაც ჩვენს საზოგადოებას დღეს ასე ძალიან სჭირდება.

თავისუფლება არ ნიშნავს ყველაფრის უფლებას! ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს რომ, ჩვენი უფლებები მთავრდება იქ, სადაც სხვისი იწყება. თავისუფლება ასევე გულისხმობს კრიტიკულ აზროვნებას, კითხვების დასმას და დისკუსიას, რაც, ნებისმიერ შემთხვევაში, განსხვავებული პოზიციების დაახლოების უმთავრესი წინაპირობაა.

სახელმწიფოებრიობის განცდა და შეგრძნება უპირველესია ძლიერი საზოგადოების და ქვეყნის შენების გზაზე. სწორედ სახელმწიფოებრიობა და ის ღირებულებები, რაზეც დგას ქართველი ერი, უნდა იყოს ჩვენი საზოგადოების გამაერთიანებელი. ზუსტად თავისუფლების, წესების და ეროვნული იდენტობის დაცვის ასეთ გაგებაში დაინახა ქართველმა ხალხმა შესაძლებლობა ევროპულ ოჯახში, რომელიც უნდა იყოს საშუალება ჩვენნაირი პატარა ერისთვის დავიცვათ ჩვენი კულტურა, ღირებულებები, ტრადიციები, ისტორია, ენა, სარწმუნოება და სახელმწიფოებრიობა.

თუკი, არსებობს ქართველი ადამიანი ვინც შეიძლება ამ ღირებულებებს და შეხედულებებს არ იზიარებს, ალბათ საკუთარ თავს უნდა დაუსვას კითხვა – ვის ან რას შეიძლება ემსახურებოდეს?!

მე მჯერა ქართველი ადამიანის, მე მჯერა ჩვენი ერის სიძლიერის. მე მჯერა, ჩვენი ისტორიული გამოცდილებით, ღირებულებებით, ქართული ხასიათით ჩვენ შევძლებთ საკუთარ თავში ვიპოვოთ ძალა და გავერთიანდეთ ჩვენი სამშობლოს გარშემო. მე მჯერა, რომ სიყვარული გაიმარჯვებს!

**გაუმარჯოს ერთიან, ძლიერ და სიყვარულით სავსე საქართველოს!**

№151-152. ორშაბათი, 30 დეკემბერი, 2024 წელი

იმედი არ კვდება

საქართველოს რესპუბლიკა



# სალომეს რევოლუცია იფუშება!



**ძველი ბერძენი მეცნიერი არქიმედე ჯერ კიდევ 23 საუკუნის წინათ ნატრობდა, მომეცით საყრდენი წერტილი და დედამიწას გადავატრიალებო.**

ჩვენი ოპოზიცია კარგა ხანია ოცნებობდა, ხელისუფლებას მისთვის ისეთი საყრდენი წერტილი მიეცა, რომელიც დაქსაქსულ რიგებს შეუკოწიწებდა და ხალხს ისეთივე საერთო ფრონტით გამოიყვანდა, როგორც, ვთქვათ, 2003 წლის ნოემბერში გამოვიდა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ. თუმცა, „საერთო ფრონტი“ აქ მაინც უადგილოდ არის ნახმარი, ოპოზიცია ერთიანი არც მაშინ იყო. მაგალითად, ლეიბორისტებს და მემარჯვენეებს ვარდები არ სჭერიათ.

ოპოზიცია უკვე მყარად მივიდა სამოქალაქო დაპირისპირებასა და რევოლუციამდე. მას ჰყავს გამოკვეთილი ლიდერები: ოთხი ზღვარსგადასული პარტია და ერთი „არაადეკვატური ჩურჩუტი“ დედაბერი (პეტრე ცისკარიშვილის სიტყვებია). ოპოზიცია დიდი გულმოდგინებით ლესავს თავის დასაკლავ დანას, რაც, მე რომ მკითხოთ, დღეს ქვეყნისათვის სულაც არ არის საჭირო. საქართველოს ძალიან გაუჭირდება ამდენი სამოქალაქო დაპირისპირების და რევოლუციის მონელება, გინდა ვარდებისა იყოს და გინდა ყაყაჩოების.

საქართველოში პარტიული ორთაბრძოლები ნაკლებად იპყრობს მოქალაქეთა სულსა და გონებას. პარტიები მათთვის მხოლოდ შირმაა. ეს „აქედან იქ“, უფრო სწორად „ამიდან იმაში“ იოლი გადასვლებითაც დასტურდება, რადგან, კაცმა რომ თქვას, „ამისგან იმის“ განსხვავება ძნელი შესამჩნევია.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, პარტიები 5-კაციანი ორგანიზაციებია (100-კაციანი გაერთიანება მძლავრ მონოლითად უნდა ჩაითვალოს). ყავარზე კუდგადებულ ჩვენს ძალად პოლიტიკოსებს, ინდივიდუალობისა და გამორჩეულობის წარმოსაჩენად, ანუ თუ სათქმელს ზუსტად ვიტყვით, ამბიციის დასაკმაყოფილებლად (რომელიც ფრიად გასაკვირია, რატომ, რის საფუძველზე უჩნდებათ) სწორედ პარტია სჭირდებათ, პარტიის თავმჯდომარე ან პარტიის გენერალური მდივანი წონიანად ჟღერს!

მთავარი სახელწოდების მიგნებაა. ეს არის ყველაზე რთული საქმე ამ წამოწყებაში. ჰოდა, ჩეჩქად გვაქვს 200-მდე სახელწოდებითა და კრამიტებივით ერთმანეთის მსგავსი პარტიები. მათ დასახელებაში 20-ჯერ მეორდება „დემოკრატიული“, 17-ჯერ „ეროვნული“, 11-ჯერ „სოციალური“, 10-ჯერ „ქრისტიანული“, 6-ჯერ „ნაციონალისტური“ და ასე შემდეგ.

**პარტიომანია საქართველოში უკვე გასცდა გონიერების საზღვრებს და კომიქსების სფეროში გადავიდა. სანამ ასეთი „დემოკრატიულად შეუზღუდავი“ სპექტრი გვექნება, სახითხითო და საქილიკო არ მოგვაკლდება. არადა, ყველაფერში ამერიკას რომ ვბაძავთ და მაგალითად ვისახავთ, იქნებ საარჩევნოდ ორპარტიულობაშიც მივბაძოთ და ქვეყანა მართლა ჯანსაღი საარჩევნო ბრძოლებისთვის განვაწყოთ. იქნება ორი პარტია, ეყოლება ორი ლიდერი.**

ოღონდ ეს ოპოზიციური პარტიების (ხუთკაციანის, ოცკაციანის თუ მაქსიმალურად „დიდის“ – ასკაციანის) დროებითი გაერთიანება არ უნდა იყოს. რაკი ექსპერიმენტის ჩატარება გადავწყვიტეთ, ბოლომდე მივიდეთ. მართლაც ორი ამერიკული ყაიდის საარჩევნო პარტია უნდა ჩამოიქნას სიმბოლოებით ვირი და სპილო (ეს ამერიკის რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების სიმბოლოებია). ოღონდ, მათ ნაცვლად, ალბათ, საჭირო იქნება ჩვენი, ქართული შესატყვისი (აფსუს, ვირის ამერიკულობა რა დასანანია, თორემ პირდაპირ მშობლიურად ჟღერს, მაგრამ რას იზამ). სამაგიეროდ, ავიღოთ თუნდაც ჯორი ან კამეჩი და თხა. პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატის შერჩევაც მათი თავსატეხი იქნება.

ამრიგად, ორი პარტია ერთადერთი სწორი გამოსავალი იქნება ქართული პოლიტიკური სინამდვილისთვის. ცვალონ ერთმანეთი უმაღლეს ხელისუფლებაში, თვითონაც მოისვენონ და ჩვენც მოგვასვენონ.

ერთიც. სანამ ჩვენი მოქალაქე კანონმორჩილი არ გახდება, სანამ მას ძვალ-რბილში არ გაუჯდება კანონის პატივისცემა და უზენაესობა, მანამდე არაფერი გვეშველება.

* * *

**ამას** წინათ საქართველოში რამდენიმე დღიანი ვიზიტის ფარგლებში სტუმრად იყო ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ალან ბერსე. შეხვდა როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს: ბიძინა ივანიშვილს, ირაკლი კობახიძეს, შალვა პაპუაშვილს, ისე ოპოზიციის ლიდერებს, გარდა „კოალიცია

გაგრძელება მე-12 გვ.

**ვატო შაქარიშვილი:**

# „რაც დრო გავა, მეტად გავაცნობიერებთ, თუ რა მასშტაბის ბრძოლა მოვიგეთ“

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ დამფუძნებელმა ვატო შაქარიშვილმა, ჟურნალისტთა ფედერაციის პრეს-კლუბში 27 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე შეაჯამა 2024 წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.**




– 2024 წელი ნამდვილად იყო პოლიტიკურად რთული წელი, რომელიც სრულდება ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის გამარჯვებით. აწმყოში ცოტა გვიჭირს, გავაანალიზოთ და გავაცნობიეროთ, უახლესი ისტორიის თუ რამდენად მნიშვნელოვან მონაკვეთს გადის ჩვენი ქვეყანა, რომელმაც გაუძლო უდიდეს რყევებსა და შემოტევებს. მთელი ეს დიდი ტყუილი და პოლიტიკური ფარისევლობა შეფუთული იყო ევროინტეგრაციის თემით, სინამდვილეში კი იყო საქართველოს ომში ჩართვის დაჟინებული ინტერესი. საბედნიეროდ, ქართველი ხალხი არ მოტყუვდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა აკრძალული მეთოდით ხდებოდა იძულება, რათა დავმდგარიყავით იმ გზაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას მიიყვანდა ფიზიკურ განადგურებამდე, სახელმწიფოებრიობის დაკარგვამდე. ქართველი ხალხის უმრავლესობამ იცნო ის გზა, რომელიც უკვე გავლილი გვქონდა 2008 წელს, ვგულისხმობ აგვისტოს ომს.

***– 26 ნოემბრის არჩევნების შედეგად პარლამენტში მოხვედრილი ოთხი ოპოზიციური პარტიიდან სამმა საბიუჯეტო დაფინანსება მიიღო. როგორც ცნობილია, დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება მიღებული ხმების ოდენობით, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ოპოზიციამ აღიარა ხმების ის რაოდენობა, რაც ცესკო-ს შემაჯამებელ ოქმში ჩაიწერა?***

– ოთხი ბარიერგადალახული პარტიიდან სამმა მოითხოვა პარტიების საბიუჯეტო დაფინანსება, რომელიც არის პირდაპირ მიბმული არჩევნების შედეგებზე, ეს ნიშნავს, რომ ამ პარტიებმა, რომლებიც არჩევნების დელეგიტიმაციის მიზნით უკვე ორ თვეზე მეტია ქვეყანას არყევენ. თქვენ ნახეთ ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, რომელმაც პირდაპირ თქვა, რომ სალომე ზურაბიშვილმა მას სთხოვა, არ ეღიარებინა საქართველოში ჩატარებული არჩევები. ამ ფონზე სამი დიდი დესტრუქციული ოპოზიციური პარტია აღიარებს არჩევნების შედეგებს, ითხოვს რა საბიუჯეტო დაფინანსებას, რომლის გამოანგარიშება ხდება პირდაპირ მიღებული ხმების ოდენობის მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სამ პოლიტიკურ ფარისეველ პარტიას ერთი ხმაც კი არ დაუყენებია ეჭვქვეშ. ზუსტად იმ ოდენობის თანხას მოაწერეს ხელი (მილიონზე მეტ ლარს!) რომლის გამოანგარიშებაც ხდება სწორედ არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობით. არა მხოლოდ ეს კონკრეტული ფაქტი იმის დასტურია, რომ საქმე გვაქვს მასშტაბურ პოლიტიკურ ფარისევლობასთან.

***– ცხადია, პოლიტიკას სჭირდება ფული, შესაბამისად პარტიები ფინანსდებიან იმ ბიზნესის მიერ, რომლებიც მათ პოლიტიკურ გემოვნებას იზიარებენ. თქვენი აზრით, პროევროპულ პარტიებს აფინანსებენ ის ბიზნესმენები, რომლებიც რუსეთში მდიდრდებიან?***

– დიახ, ეს ბიზნესმენები რუსეთში საქმიანობით დიდ ფულს შოულობენ ყოველწლიურად თავად კი ხელისუფლებას სდებენ ბრალს პრორუსულობაში. მონაწილეობენ რევოლუციურ სცენარებში, რომელიც თითქოს ეყრდნობა იმას, რომ ქვეყანამ საგარეო კურსი შეიცვალა. მთელი ამ წლების ცილისწამების ფონზე, მათ ვერც ამერიკული და ვერც სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების დახმარებითაც კი, ვერ მოუძებნეს ხელისუფლებას ერთი კონკრეტული ფაქტიც კი, რომელიც დაადასტურებდა საქართველოს ხელისუფლების კავშირებს რუსეთთან. სამაგიეროდ, კონკრეტულ დოკუმენტებსა და ციფრებში ნათლად ჩანს, თუ როგორ ფინანსდებიან კონკრეტული „პროდასავლელი პოლიტიკოსები“ – ლიაკა ხოშტარია თუ სხვები. ჩვენ ვხედავთ კონკრეტულ დოკუმენტებს საშემოსავლო და საბაჟო სამსახურებიდან, როდესაც ბიზნესები, რომლებიც ამ ქვეყანაში რევოლუციასა და ხელახალ არჩევნებს ითხოვენ, ყოველწლიურად მილიონებს შოულობენ რუსეთთან მჭიდრო კავშირის, კარგი სავაჭრო ურთიერთობების წყალობით. ალბათ, ქართულმა ბიზნესმა კაია კალასისგან ისწავლა, სხვას დააბრალოს ის, რასაც თვითონ აკეთებს. ევროკავშირი, ერთი მხრივ, თითქოს რუსეთს ებრძვის და აფინანსებს ევროპელი ხალხების ფულით უკრაინას, ხოლო, მეორე მხრივ ვხედავთ, რომ ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნები დღემდე ვაჭრობენ რუსეთთან, გაცილებით უფრო ძვირად ყიდულობენ რუსეთის ბუნებრივ რესურსებს, ვიდრე უკრაინაში ომის დაწყებამდე. ევროპის რამდენიმე ქვეყანას დღემდე, უკრაინის გავლით მიეწოდება რუსეთის ბუნებრივი რესურსები. ამაზრზენი ფაქტია, რომ კაია კალასი, რომელიც ევროკავშირის კომისარია საგარეო საქმეებში, მისი მეუღლე, დადასტურებულად აწარმოებს რუსეთთან ბიზნესს და მისი კომპანიის ყოველწლიური ბრუნვა 200 მლნ ევროს აღემატება.

***– ბოლო დღეებში ჯო უილსონის სტატუსები იხილა საზოგადოებამ პლატფორმა X-ზე. რა მიზანი აქვს მას?***

– მისი პოსტები ემსახურებოდა დესტრუქციული ოპოზიციის ჩამქრალი საპროტესტო მუხტის გაღვივებას. 2-3 საათის განმავლობაში ამერიკელმა კონგრესმენმა, 77 წლის ჯო უილსონმა, რომელსაც ცოტა ხნის წინ ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, ინსულტი გადაიტანა და სახლში განაგრძობს მკურნალობას – ერთ დღეში გამოაცხო სამი ტვიტი, რომელიც თავისი ლექსიკით არ იყო არც პოლიტიკური, არც დიპლომატიური და ჰგავდა ელისაშვილის სამეტყველო ლექსიკას. ეს მოწმობს იმას, თუ რა მძიმე მდგომარეობაა ამერიკულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში.

გაგრძელება მე-10 გვ.





# საახალწლო კომედიური წარმოდგენა

## მეგობრების დაკვეთით და სალო ბაბოს შესრულებით

**შეგვიძლია გადაუჭარბებლად ვთქვათ, რომ 2024 იყო ერთი ყველაზე ტრაგიკომიკური წელიწადი საქართველოს უახლეს ისტორიაში. მეტიც, ეს იყო ჯერ კიდევ 25 წლის წინათ სააკაშვილის ხელისუფლებაში აღზევების პროცესით დაწყებული პოლიტიკური ტრაგიკომედიის კულმინაცია.**

**მოდი, გავიხსენოთ.**

მიხეილ სააკაშვილი და მისი „ჩემი გუნდი“ (როგორც თვითონ სააკაშვილი უწოდებდა) ხელისუფლებაში აღზევდა რუსეთ-დასავლეთის ერთობლივი მხარდაჭერისა და შევარდნაძის სამმართველო გუნდის უსუსურობის, ან იქნებ, ხელისუფლების მშვიდობიანად დათმობის გონივრული გადაწყვეტილების წყალობით.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მაშინდელმა აგრეთვე გარედან მართულმა და გარედან დაფინანსებულმა ოპოზიციამ მოახერხა მტრის ხატის შექმნა და ამ ფენომენის სათავისოდ გამოყენება - რუსი საქართველოს დაუძინებელი მტერია, შევარდნაძე რუსია! არც მაშინ და არც „ვარდების რევოლუციის“ ტრიუმფალური გამარჯვებიდან 20-ზე მეტი წლის შემდეგ ყურადღება არავის მიუქცევია, რომ ედუარდ შევარდნაძე მიხაილ გორბაჩოვთან ერთად იყო საბჭოთა სოციალისტური სისტემისა და საბჭოთა კავშირის ნგრევის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. უფრო მოკლედ - რუსეთის დაუძინებელ მტრად შერაცხილი პერსონა. შესაბამისად, იგი არ შეიძლება ყოფილიყო და არც ყოფილა „რუსი“.

ნუ ვიქნებით უსამართლო - ნებისმიერი გარე დახმარებების მიუხედავად, სააკაშვილის ხელისუფლება განწირული იყო წარუმატებლობისათვის. ასეთია ყველა რევოლუციური ხელისუფლების ბედისწერა. ერთადერთი გამოსავალი საკუთარი გარდუვალი წარუმატებლობის შენზე ბევრად აღმატებულ, ძლევამოსილ „მტერზე“ გადაბრალებაა. ამ როლისთვის კი მითიური „რუსი“ მართლაც ზედგამოჭრილია – კარის მეზობელია, აგრესიულია, დამპყრობელია, დაუნდობელია და, რაც მთავარია – დაუმარცხებელია...

აქედან გამომდინარე, მტრულია, რუსულია ყველა და ყველაფერი, რაც შეიძლება აღემატებოდეს ან აკნინებდეს სააკაშვილის და მისი მხარდამჭერების ავტორიტეტს – დავით აღმაშენებელიც, მეფე ერეკლეც, სვეტიცხოველიც, ნარიყალას ციხეც, თბილისი-თელავის ავტომაგისტრალიც, რიკოთის გვირაბიც, საქართველოს კონსტიტუციაც, ილია ჭავჭავაძეც, იაკობ გოგებაშვილიც, ბიძინა ივანიშვილიც, ლაშა ტალახაძეც და ლაშა ბექაურიც... - ოპოზიციად წოდებული კასტა ებრძვის ყველაფერს და ყველას, მიერ პარლამენტში „უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის წარდგენა. უცნაური არაფერია იმაში, რომ ოპოზიცია მწვავედ აკრიტიკებს რომელიღაც კანონპროექტს. უცნაური და კომიკურია, რომ „მედასავლეთე“ ოპოზიცია ამერიკული კანონის (ე. წ. „ფარა“) ქართული ანალოგის რუსულობაზე ლაპარაკობს. ლოდნელად (ხელისუფლების ჯინაზე და უცხოელი „მეგობარი უკუღმართების“ საამებლად) ოპოზიცია ამის წინააღმდეგ დემონსტრაციებს მართავს!

ბოლო საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე სააკაშვილი ამბობდა და კოლექტიური რადიკალური ოპოზიციაც ერთხმად იმეორებდა, რომ მთავარი

**...მტრულია, რუსულია ყველა და ყველაფერი, რაც შეიძლება აღემატებოდეს ან აკნინებდეს სააკაშვილის და მისი მხარდამჭერების ავტორიტეტს — დავით აღმაშენებელიც, მეფე ერეკლეც, სვეტიცხოველიც, ნარიყალას ციხეც, თბილისი-თელავის ავტომაგისტრალიც, რიკოთის გვირაბიც, საქართველოს კონსტიტუციაც, ილია ჭავჭავაძეც, იაკობ გოგებაშვილიც, ბიძინა ივანიშვილიც, ლაშა ტალახაძეც და ლაშა ბექაურიც... – ოპოზიციად წოდებული კასტა ებრძვის ყველაფერს და ყველას, რასაც და ვისაც ვერასოდეს გააუფასურებს ან დაამარცხებს!..**

რასაც და ვისაც ვერასოდეს გააუფასურებს ან დაამარცხებს.

და ამას აკეთებს აბსოლუტურად გააზრებულად - ვინმე კოლექტიურ ხოშტარიას ხვალ მილიარდერობის, ოლიმპიური ჩემპიონობის ან პრეზიდენტობის შანსი რომ ჰქონდეს, ივანიშვილს, ბექაურს ან ყაველაშვილს გალანძღავდა კი არა, ქება-დიდებით ცამდე აიყვანდა.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, 2024 წელს რა გახდა ოპოზიციის „პატრიოტული“ აღტყინებისა და ქუჩაში გამოფენის (ანუ ტრაგიკული კომედიის დაწყების) ფორმალური საბაბი - ხელისუფლების

ზუსტად იგივე მეორდება სახელისუფლებო ინიციატივაზე ლგბტ პროპაგანდის შეზღუდვის შესახებ. ხელისუფლებას შემოაქვს კანონი არა ამ ფიზიკური და მორალური სიბილიწის აკრძალვის, არა ამ გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობების მიმდევართა დასჯის, არამედ პროპაგანდის აკრძალვის შესახებ. და ყოვლად მოუ-

იყო არა არჩევნები, არამედ მას შემდეგ განვითარებული რევოლუციურ-გადამტრიალებლური ქმედებები. მოვლენებიც ზუსტად დემენციით დაავადებული (დედას გეფიცებით, მე არაფერს ვაბრალებ, დედაგიულიმ თქვა!) გენიოსი მიშას სცენარით განვითარდა: არჩევნებში გამარჯვების გამო ორსაათიანი ზეიმის შემდეგ მოულოდნელად განაცხადეს, რომ არჩევნები „ტოტალურად გაყალბებული“ იყო და დაუყოვნებლივ დაიწყეს ქუჩის პროტესტების ორგანიზება.

ეს გახლდათ 32-დღიანი კომედიური ჟანრის წარმოდგენა ტრაგიკული შედეგებით. მარტო ვაშაძისა და კომპანიის სცენარის მიხედვით დადგმული ეს სპექტაკლი რად ღირს - „14-მილიარდიანი ევროების ზვინი ქართველი გადამტრიალებლების მოლოდინში“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია იდიოტ მაყურებელზე გათვლილი კომედია კოდური სახელწოდებით „არჩევნები გაყალბდა“! არავითარი დოკუმენტი, არავითარი თეორიული დასაბუთება - არჩევნები გაყ-



# ესეც თქვენი ბაიდენი და ზელენსკი!





**ბაიდენის პრეზიდენტობის მიწურულს, აშშ-ის სახელმწიფო ხაზინამ კიდევ ერთხელ დაასანქცირა ბიძინა ივანიშვილი. ფორმალურ მიზეზებზე (ანუ ამ გადაწყვეტილების გამართლებაზე) საუბარი არ ღირს. თანაც, სანქციები ისეთია, ივანიშვილის ბიზნესს რომ ვერაფერს დააკლებს.**

ალბდა, პარლამენტი უნდა დაიშალოს, მთავრობა უნდა გადადგეს, ძალაუფლება მითიური ოპოზიციური „კვარტეტის“ ხელში უნდა გადავიდეს და ევროპისკენ ჰერი, ჰერი... თანაც, მოპროტესტე ქალბატონების მიერ შესრულებული „ხორუმის“ თანხლებით.

**საკმაოდ დიდი ხნის წინათ, მაგრამ მოცეკვავეთა გუნდში მეც ვყოფილვარ და თუ მეხსიერება არ მღალატობს, „ხორუმი“ არის გურულ-აჭარული მამაკაცების საბრძოლო ცეკვა. თავიდან გამოდიან მზვერავები, შემდეგ მებრძოლები და ბოლოს ყველა ერთად ზეიმობს გამარჯვებას. კომედიურია, თუ ამ ცეკვას ქალები ასრულებენ. რა ძალა გადგათ, თქვე კაი დედმამის შვილებო – აგერ გყავთ მოცეკვავე ხაზარაძე, ჯაფარიძე, ვაშაძე, ხაზე, ბლინკენი, უილსონი, კრამერი, როთი და გრიგორიადისი!**

თუ მაინცდამაინც, აგერ, ბატონო, ანა დოლიძე – მართალია, მდედრობითი სქესისაა, მაგრამ თავდადებული მებრძოლია. თვითონვე ბრძანა, თუ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ სასახლიდან გაძევებას დაუპირებენ, ხელში ხმალს და რაგატკას ავიღებ, ფოლადის ჯავშანს გადავიცვამ და ჩვენს მარადიულ პრეზიდენტ სალომეს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავო!

ორჯერ ნაიმპიჩმენტარი და უკვე ოფიციალურად ვადაგასული პრეზიდენტი აცხადებს, სასახლეს სანამ ამერიკიდან არ მეტყვიან, არასდიდებით არ დავტოვებო. ესა კიდე – პრეზიდენტს ტინის კლდესავით ავეფარებიო.

პრეზიდენტ ზურაბიშვილს ამ ბოლო დროს მიშა სააკაშვილიდან დაწყებული, „ვეფხისტყაოსანზე“ შეყვარებული უბირი ქალბატონებით დამთავრებული, საეჭვოდ ბევრი დამცველი და „გადამფარებელი“ გამოუჩნდა. ამაში გასაკვირი არაფერია – როცა წყალი დუღილს იწყებს, ქაფი და ნაგავი ზემოთ ამოაქვს. და მაინც, გულწრფელად რომ ვაღიარო, პირადად მე უკიდურესად გამაოცა კოლექტიური უილსონ-როთისა და კოლექტიური სააკაშვილის ორგანიზებულ „გადამტრიალებელთა“ რიგებში ყოფილი პრემიერის, ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრების გამოჩენამ. სწორედ იმ კაი კაცისა, რომლის იმქვეყნად გასტუმრებასაც ეს პატიოსანი ადამიანები (ზურაბ ჟვანიას ძმა და მეუღლე) მრავალი წლის განმავლობაში სწორედ სააკაშვილს აბრალებდნენ!

ამის თაობაზე ბევრი ითქვა და კიდევ ბევრი ითქმება და დაიწერება – გასაკვირია „გუშინდელი“ პრემიერის გიორგი გახარიას საკუთარი სურვილით გაოპოზიციონერება. უფრო ზუსტად, განდგომილი ოპოზიციონერის როლის მორგება. სამაგიეროდ, არავის გაკვირვებია წლის ბოლოს რადიკალური, ყოვლად პრინციპული ოპოზიციური კვარტეტიდან ურადიკალურესი და უპრინციპულესი ტრიოს გამოყოფა – მისთვის საძულველი, თვითმარქვია, არალეგიტიმური ხელისუფლებისგან კანონით გათვალისწინებული დაფინანსების მიღება... ანუ ენით უღიარებელი ხელისუფლების ფაქტობრივი აღიარება.

როგორც დიდი რუსთაველი გვასწავლის, „ძალა აღმართს ხნავსო“ და „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“ (არ დამიწყოთ ახლა, „ვეფხისტყაოსანი“ გადაშალე, იქ ეგეთები არ წერიაო!).

**წლისა და ბაიდენის პრეზიდენტობის მიწურულს, აშშ-ის სახელმწიფო ხაზინამ კიდევ ერთხელ დაასანქცირა ბიძინა ივანიშვილი. ფორმალურ მიზეზებზე (ანუ ამ გადაწყვეტილების გამართლებაზე) საუბარი არ ღირს. თანაც, სანქციები ისეთია, ივანიშვილის ბიზნესს რომ ვერაფერს დააკლებს. სხვა საქმეა, ჯაფარიძე-ხაზარაძის ამერიკელი მეგობრების ცოტა არ იყოს უცნაური, გაუგებარი მინიშნებები მილიარდერის რუსეთუმეობაზე.**

სანქციები სიმბოლურია, მაგრამ სამაგიეროდ, უკიდეგანო აღმოჩნდა ქართული, ეროვნული, ქვეყანაზე ზრუნვით თვალებამოღამებული ოპოზიციის აღფრთოვანება ამერიკის ამ გადაწყვეტილების გამო – აი, მეგობარმა ამერიკამ დასაჯა მტერი რუსეთის ინტერესების გამტარებელი ქართველი მილიარდერი.



**მადლობელი ვარ შეერთებული შტატების ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისთვის. ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველო პუტინის კონტროლის ქვეშ მოაქციოს.**

ამასთან დაკავშირებით, ჯერ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის განცხადება ვნახოთ: **„ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების” ქმედებებმა ჩამოშალა დემოკრატიული ინსტიტუტები, ხელი შეუწყო ადამიანის უფლებების შელახვას და აღკვეთა ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობის უფლება საქართველოში. შედეგად, საქართველო რჩება მოწყვლადი რუსეთის წინაშე, რომელსაც ამ დრომდე აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის ოც პროცენტზე მეტი. ჩვენ მკაცრად ვგმობთ „ქართული ოცნების” ქმედებებს, ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით: რეპრესიებს საქართველოს მოქალაქეების, აქციის მონაწილეების, მედიის წარმომადგენლების, უფლებადამცველებისა და ოპოზიციის წევრების წინააღმდეგ. შეერთებული შტატები მტკიცედ აგრძელებს პასუხისმგებლობის დაკისრების ხელშეწყობას მათ წინააღმდეგ, ვინც საქართველოში დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს ხელყოფს. ბიძინა ივანიშვილი... ძირს უთხრის დემოკრატიულ პროცესებს როგორც შეერთებულ შტატებში, ისე საზღვარგარეთ, რუსეთის ფედერაციის მთავრობის პირდაპირი თუ ირიბი სარგებლისთვის“.**

ამერიკის კონგრესის „ჰელსინკის კომისიის“ ამასწინანდელ განცხადებასაც შეგახსენებთ: „ქართული ოცნება“ ქართველებს მათ მიერ არჩეულ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას აშორებს და მიათრევს აგრესორების ღერძისკენ, რომელთა მიზანია დემოკრატიული მსოფლიო წესრიგის განადგურება. ქართველი ხალხის მასობრივი წინააღმდეგობის მიუხედავად, „ქართული ოცნება“ განაგრძობს მსოფლიოს ავტოკრატებთან ინტეგრაციას... „ქართულმა ოცნებამ“ სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება გააფორმა ჩინეთთან. ჩინური კონსორციუმი ამჟამად აშენებს მასშტაბურ ღრმაწყლოვან პორტს ანაკლიაში. „ქართული ოცნება“ თუ მოახერხებს ძალაუფლების შენარჩუნებას, საქართველოს აქცევს ძალაუფლების პროექციისა და ეკონომიკური შესაძლებლობების ადგილად არამხოლოდ მისი რუსი პატრონებისთვის, არამედ ჩინეთისა და ირანისთვისაც.“



მოდი, კიდევ ერთხელ გადავხედოთ ამ განცხადებას - მეგობარ ამერიკას ფეხებზე ჰკიდია საქართველო, მისი ხალხი, ისტორია, თანამედროვეობა, მმართველი პარტია და, წარმოიდგინეთ, ოპოზიციაც კი. მისთვის მთავარია საკუთარი ინტერესები, საქართველოში თურმე ჩინეთისას, რუსეთისას და ირანისას რომ ეჯახება.

**ამ ფონზე, იმედია, საქართველოს ურთგულესი მეგობარი ქვეყნის, უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის ცინიკური განცხადებაც არ გაგიკვირდებათ: „მადლობელი ვარ შეერთებული შტატების ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისთვის. ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველო პუტინის კონტროლის ქვეშ მოაქციოს. უკრაინამ უკვე გამოიყენა სანქციების სრული კომპლექტი ივანიშვილისა და მისი მაფიოზური ჯგუფის მთავარი ფიგურების წინააღმდეგ. მოვუწოდებთ ყველა პარტნიორს მსოფლიოში, ვინც აფასებს ხალხთა ნორმალურ ცხოვრებას და თავისუფლებას, გამოიყენოს სწორედ ასეთი სანქციები ივანიშვილის წინააღმდეგ, რათა მან გააცნობიეროს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის განადგურებისა და ქართველი ხალხის დამცირების ფასი“.**

ვინაიდან ძალიან ბევრმა ჩვენმა მომიტინგე თანამემამულემ ვერა და ვერ დაიმახსოვრა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს არსებულა და არ არსებობს ცნება „მეგობარი სახელმწიფო“. ისევე, როგორც არ არსებობს „მტერი სახელმწიფო“. ყველა სახელმწიფო ხელმძღვანელობს მხოლოდ საკუთარი და არა რომელიმე ახლობელი თუ შორეული მეზობელი ქვეყნის ინტერესებით. თუ ნებას დამრთავთ, შეგახსენებთ თუნდაც ე. წ. „ასწლიან ომს“ მეზობელ და მეგობარ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიებს შორის (1337-1453 წ.წ.); „ოცდაათწლიან ომს“ ჰაბსბურგულ და ანტიჰაბსბურგულ კოალიციებს შორის თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის მონაწილეობით (1618-1648 წ.წ.); პირველ და მეორე მსოფლიო ომებს (1914-1918, 1939-1945 წ.წ.) მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მონაწილეობით; საქართველოს ომებს მეზობელ და მეგობარ ირანთან, თუ ოსმალეთის სასულთნოსთან; ქართული სამეფო-სამთავროების გაუთავებელ ომებს ერთმანეთთან...

დიდი ხნის შემდეგ საქართველო პატარა, სამხედრო და ეკონომიური თვალსაზრისით სუსტი, მაგრამ დამოუკიდებელი ქვეყანაა. მას ბეწვის ხიდზე გავლა უწევს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მსოფლიო ასპარეზზე გეოგრაფიული მდებარეობის გამო მისდამი ინტერესი ერთიორად გაიზარდა. ერთ ამერიკელ პოლიტოლოგს რომ დავესესხო, „მტერი“ ამერიკა საშიშია, ხოლო „მეგობარი“ ამერიკა – სასიკვდილო განაჩენია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის. და ამაში იოტისოდენა ირონიაც არ ურევია - ამერიკა ზრუნავს მხოლოდ ამერიკაზე და არა მეგობარ-პარტნიორებზე.

ორიოდე სიტყვა ოპოზიციურ პატრიოტიზმზეც. მიშისტური ფილოსოფიის თანახმად, პატრიოტი, გმირი, ქვეყნისა და მისი ევროპული მომავლისთვის დაუღალავი, თავგანწირული და სამაგალითო მებრძოლია ლაზარე გრიგორიადისი. დიახ, სწორედ ის თვალხატულა ბიჭი, ქუჩაში ქვებს და „მოლოტოვის კოქტეილებს“ რომ ისვრის, პოლიციელის ავტომობილს რომ წვავს, მშობელ მამას უკანალში დანას რომ უყრის, ვისაც პრეზიდენტი ზურაბიშვილი ციხიდან ათავისუფლებს და ოპოზიციის სახედ ქცეული, ისევ ოპომიტინგების ავანგარდში რომ დგას.

სამაგიეროდ, თურმე ქვეყნის მოღალატე, მტერი და რუსი „ტიტუშკაა“ გრიგორიადისის თანატოლი მართლაც საამაყო ქართველი ბიჭი, ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაური.

მთელი 2024 წლის განმავლობაში მიმდინარე ტრაგიკული კომედიის მწვერვალი იყო 28 დეკემბერს უთუოდ პატიმარი მარადიული პრეზიდენტის ინიციატივით ორგანიზებული „საყოველთაო პროტესტის ჯაჭვი“ საბავშვო ბაღის აღსაზრდელების, სკოლის მოწაფეების, სტუდენტების, დიასახლისების, ხელოვნების უცნობი „მოღვაწეებისა“ და ნაცნობი აქტივისტების მონაწილეობით. ინიციატორ-აქტივისტებისა რა გითხრათ, მაგრამ დანარჩენ საქართველოს კარგად გვახსოვს 2008 წლის აგვისტოში გამართული მაშინდელი პრეზიდენტის მართლაც გრანდიოზული „გამარჯვების ჯაჭვი“ რუსეთთან საომარ ავანტიურაში სამარცხვინო დამარცხების აღსანიშნავად! 28 დეკემბერსაც ზუსტად იგივე განმეორდა. სწორედ ამაზე უთქვამს ბრძენ კაცს, ბრიყვი ვერც რამეს სწავლობს და ვერც რამეს ივიწყებსო.

ალბათ გაგიხარდებათ – წლის მიწურულს ოპოზიციურ პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა ცნობილი პოლიტიკოსისა და მოღვაწის, თამარ ჩერგოლეიშვილის მეუღლე და ასევე ცნობილი მოჭადრაკის, ნანა ალექსანდრიას ვაჟიშვილი გიგა ბოკერია.

**რაც მთავარია, 29 დეკემბერს, დაახლოებით დილის თორმეტის ნახევარზე ყოფილმა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ორბელიანების სასახლესთან შეკრებილი თავისი გულმხურვალე გულშემატკივრების წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ გამოვა სასახლიდან და მათთან ერთად გააგრძელებს ბრძოლას... მაპატიეთ, კარგად ვერ გავიგე, რისთვის და რატომ. თანაც, სასახლიდან გამოსვლისთანავე სვეტიცხოვლის ტაძარში გაემგზავრა – იმედია, მონაზვნად აღკვეცას არ აპირებს.**

ახალი წლის მოსვლას, ტრაგიკული კომედიების მშვიდობიანად დასრულებას, ძველი პრეზიდენტის მშვიდობიანად გაცილებას და ახალი პრეზიდენტის მიხეილ ყაველაშვილის მშვიდობიან ინაუგურაციას გილოცავთ, ძვირფასო თანამემამულეებო!



**თეიმურაზ ქორიძე**

29. 12. 2024



# როდის გაირყვნა და გათახსირდა ქართული პოლიტიკა?!

## ფიქრები წინასაახალწლო რუზრუზის ფონზე

**ახალი წელი ბედობისაა, რასაც დაიბედებ, იმ წელიწადს იმავე განწყობით იქნებიო, განაცხადა ერთ საგაზეთო ინტერვიუში ოტია იოსელიანმა.**

**გარდა იმისა, რომ ახალი წელი ბედობისაა, შედეგების შეჯამებისა და მომავლის დაგეგმვის საუკეთესო შესაძლებლობაც გახლავთ, თუკი საამისოდ მშვიდობიანი გარემო იარსებებს.**

ილიას თუ დავესესხები, **„თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი ქვემოთ მოგახსენებს, იქნება თითო კოშტი სისხლიც თან ამოჰყოლოდეს“, რადგან შეუძლებელია, გულგრილად ადევნო თვალი საქართველოში მიმდინარე პროცესებს, რომელმაც სახიფათო ხასიათი შეიძინა.**

მუდმივი ომიანობითა და შინააშლილობით შეწუხებული შრომისმოყვარე ქართველი კაცი ისე იყო მყუდრო ოჯახურ გარემოს მონატრებული, მოყვასთან შეხვედრისას, გამარჯობის ნაცვლად მშვიდობას უსურვებდა, რაც მრავლისმეტყველი ფაქტია.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებულ თავდასხმას ადგილი არ ჰქონია, ჩვენი მრავალჭირნახული სამშობლო მუდმივად იმყოფება გაუსაძლისი წნეხის ქვეშ, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების შედეგად. რაც უნდა უსიამოვნო იყოს ამის აღიარება, ევროსტრუქტურების გავლენიანი პირები უცერემონიოდ მიმართავენ ნეოკოლონიალისტურ პოლიტიკას, იმ ასოცირებული სახელმწიფოების მიმართ, რომლებსაც განზრახული აქვთ ევროკავშირში ინტეგრაცია.

იმ ევროპელმა კომისარ-ემისრებმა, ვინც დროგამოშვებით სტუმრობს საქართველოს, კარგად იციან, რომ რევოლუცია მხოლოდ რევოლუციური ვითარების პირობებში შეიძლება მოხდეს, ამიტომ მიზანმიმართულად ასხამენ ნავთს მინავლებულ ნაკვერცხალზე. ასეთი მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას ემსახურებოდა 2024 წლის 12 დეკემბერს ევროპარლამენტართა ექვსკაციანი ჯგუფის ვიზიტი, რაისა მაქსიმოვნას დაქალის რასა იუკნევიჩიანეს მეთაურობით, რომელმაც გამამხნევებელი გზავნილები ჩამოუტანა რევანშისტულ ოპოზიციას.

ტარიელ ჭანტურიას ერთი ლექსის პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, არ გვაძლევს ეს ქალი, არ გვაძლევს ეს ქალი, არ გვაძლევს ეს ქალი... მოსვენებას, რადგან სალომე ზურაბიშვილის არ იყოს, საგანგებო მისია აქვს დაკისრებული.

სტუმართმოყვარე ხალხი ვართ ქართველები, პურ-ღვინო არავისთვის გვენანება, იუკნევიჩიანე იქნება იგი, კუბილიუსი თუ ორნაქმარევი და უშვილო მიხაელ როთი, მაგრამ ვინც იმ ავყია ყივჩაღივით მოიქცევა,



ИМ ЕВРОПЕЛМА...

**იმ ევროპელმა კომისარ-ემისრებმა, ვინც დროგამოშვებით სტუმრობს საქართველოს, კარგად იციან, რომ რევოლუცია მხოლოდ რევოლუციური ვითარების პირობებში შეიძლება მოხდეს, ამიტომ მიზანმიმართულად ასხამენ ნავთს მინავლებულ ნაკვერცხალზე.**

რომელმაც დაუკრეფავში გადასვლა მოინდომა, საკადრის პასუხსაც გავცემთ, ვიდრე გამოვემშვიდობებით.

**ასეთ პრინციპულ დამოკიდებულებას ვერ მოთხოვ იმ უთავმოყვარეო ადამიანებს, რომლებიც მიხაელ როთის და გაბრიელიუს ლანსბერგისის მსგავს ვიგინდარებს ოვაციებს უმართავენ მონური მორჩილების ნიშნად. სწორედ ასეთი ფამილიარობის გამოა, უცხოელი ემისრები ისეთივე მზრუნველობით რომ ეპყრობიან გულმოწყალე მასპინძლებს, როგორი მზრუნველობითაც რობიზონა დათეშიძე ეპყრობოდა ხეჭეჭურის ნერგებს!**

ნეოკოლონიალისტურ დამოკიდებულებაში რომ არ ყოფილიყო საქართველო, ვერც თინა ხიდაშელი დაიკავებდა თავდაცვის მინისტრის თანამდებობას, ვერც ნინო ლომჯარია გახდებოდა სახალხო დამცველი და არც სალომე ზურაბიშვილს ეღირსებოდა ორბელიანების სასახლის დიასახლისობა.

პოლიტიკური ლექსიკონის მიხედვით, დეზინფორმაცია არის ყალბი ცნობების გავრცელება საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით, რამაც, შესაძლოა, უმართავ პროცესებს დაუდოს სათავე. მიზანმიმართული დეზინფორმაციის მკაფიო მაგალითია იმის უსაფუძვლო მტკიცების მცდელობა, თითქოს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ევროინტეგრაციის კურსიდან გადაუხვია და რუსულ ვექტორს მიანიჭა უპირატესობა. იგივე ითქმის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების ვითომდა ტოტალურად გაყალბებასთან დაკავშირებით, რომლის დამადასტურებელი საფუძვლიანი არგუმენტები ჯერაც არ არის წარმოდგენილი. შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევებში მარკერის მელანმა ბიულეტენის მეორე მხარეს მართლაც გაჟონა, მაგრამ არასერიოზულია იმაზე საუბარი, რომ ამას მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა საბოლოო შედეგებზე.

ასეთი უსუსური არგუმენტების მიუხედავად, ბარიერგადალახული ოთხივე ოპოზიციური სუბიექტების პირველი პირები ხმაშეწყობილად მოითხოვენ არჩევნების ხელახალ გამართვას კატეგორიული ფორმით, რასაც კოჭლი იხვის მდგომარეობაში მყოფი პრეზიდენტიც უჭერს მხარს. წაგებულ ფალავანს ბრძოლა არასოდეს მოწყინდებაო, ნათქვამია და სწორედ ასეა ჩვენებური ოპოზიციის საქმე, რომელიც მანამდე ვერ მოისვენებს, ვიდრე ხელისუფლებაში მოსვლით არ დაიკმაყოფილებენ ზღვარდაუდებელ ამბიციებს.

ტოტალურ გაყალბებას არა, მაგრამ ტოტალურ ძალადობას რომ აქვს ადგილი, ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობილი მოსახლეობისა და საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენელთა მიმართ, ამის თქმა დაბეჯითებით შეგვიძლია. ეს არის აგრესიული უმცირესობის ძალადობა უმრავლესობაზე, რაც დაუსჯელობის განცდით არის განპირობებული. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სასულიერო პირებს აიძულებენ, საჯაროდ დააფიქსირონ პოზიცია, ოპოზიციის სასარგებლოდ, თუნდაც საკუთარი მრწამსის საწინააღმდეგოდ!

**სხვათაშორის, პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე მალხაზ სონღულაშვილსა და „ეპისკოპოს“ რუსუდან გოცირიძეს როცა მოვკარი თვალი, დავრწმუნდი, რომ ევანგელისტურ-ბაპტისტურ ეკლესიასა და რევანშისტულად განწყობილ ოპოზიციას შორის არსებობს ევქარისტული კავშირი, რასაც სათანადოდ დააფასებენ ანტიმართლმადიდებელი ძალები.**

**სატირალი რომ არ იყოს, სასაცილო იქნებოდა, როცა სიტყვის თავისუფლებაზე გაცხარებით ლაპარაკობს ის ნინია კაკაბაძე, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში მიკროფონი წაართვა საზოგადოებრივი მაუწყებლის რეპორტიორს სალომე ქოქიაშვილს.**

**რატომ ეშმაკი არ გაიცინებს და ღმერთი არ ატირდება, როცა საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებულ ძალადობას გმობს ნაციონალური რეჟიმის უთავმოყვარეო მსახური გიგი წერეთელი, რომელიც წინასაარჩევნოდ დაუბრუნდა მშობლიური პარტიის წიაღს.**

**რუსთაველის პროსპექტზე ხეტიალი ნუ მომიშალოს ღმერთმაო, ნატრობდა ლადო ასათიანი, უმიზნოდ ხეტიალი კი არა, ისეთი დაპირისპირების არენად არის რუსთაველის პროსპექტი გადაქცეული, სასწრაფო დახმარების ბრიგადებსაც კი ვერ მიუღწევიათ დანიშნულების ადგილამდე.**

ფუჭი იმედი ნუ ექნება თვითმარქვია ხელისუფლებას, არ დავიღლებით და ვერც უამინდობა შეგვაშინებსო, გულზე მჯიღის ცემით აცხადებენ ჯან-ღონით სავსე ჭეელები. ღმერთმა გამძლეობა მოგცეთ, ბიჭებო, მაგრამ იქნებ სჯობდეს, იგივე ლადო ასათიანი გაიხსენოთ: დავიღლები საქართველოს სიყვარულშიო, რომ ამბობდა. რომელი ჩელიაბინსკი, რისი კრასნოიარსკი და რა ხაბაროვსკი, თქვე დალოცვილებო, აგრესიული პროპაგანდა ისეთი ოხერი რამეა, შესაძლოა, სულაც



**ნეოკოლონიალისტურ დამოკიდებულებაში რომ არ ყოფილიყო საქართველო, ვერც თინა ხიდაშელი დაიკავებდა თავდაცვის მინისტრის თანამდებობას, ვერც ნინო ლომჯარია გახდებოდა სახალხო დამცველი და არც სალომე ზურაბიშვილს ეღირსებოდა ორბელიანების სასახლის დიასახლისობა.**

**ისედაც სახელგატეხილი ქართული პოლიტიკა კიდევ უფრო მაშინ გაირყვნა და გათახსირდა, როცა ჰალსტუხიანმა ხვლიკებმა, ულვაშიანმა ქათმებმა და ბაკენბარდებიანმა ბატებმა დაიკავეს ადგილები ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ეს მანკიერი პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა უკანასკნელ პერიოდში, რადგან საქართველოს პარლამენტი ათასი ჯურის თაღლითებისა და მედროვეების თავშესაფარი გახდა.**

ალიასკაზე, ანდა, ეკვატორული აფრიკის ტროპიკებში გააღვიძოს ფანტაზიური წარმოსახვის ადამიანი.

**იმაზე მეტი სიმდაბლე რა უნდა იყოს, როცა რომელიმე უზნეო პოლიტიკოსი ახალგაზრდების გულწრფელ პროტესტს საკუთარი მერკანტილური მიზნებისთვის გამოიყენებს, თუმცა, ხელმოცარული გიორგი ვაშაძის მდაბიო საქციელმა მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – შვილებმა პირში უნდა მიახალონ მშობლებს, რომ მათი შვილობა რცხვენიათო!**

**პავლიკ მოროზოვის მენტალიტეტის მქონე პატარა კაცმა (ჭიჭემ) უნდა იცოდეს, რომ ღირსეული ქართველი ამომრჩეველი არასოდეს გამოუცხადებს ნდობას პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა ლიდერები შვილებს მშობლების წინააღმდეგ განაწყობენ და იწონებენ იმ დედაუნივერსიტეტის დარბევას, სადაც სულკურთხეული ივანე ჯავახიშვილი ქუდმოხდილი შედიოდა, განსაკუთრებული მოწიწების ნიშნად!**

შეუძლებელია, ორი აზრი არსებობდეს იმასთან დაკავშირებით, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში საზოგადოების წარმომადგენელთა ხმა უნდა ისმოდეს, მაგრამ, ყველაზე რბილი შეფასებით, უხერხულია, როცა გლობალური გეოპოლიტიკური საკითხების მიმოხილვის ამბიცია აქვს ადამიანს, რომელსაც შარლ მიშელი მიშელ ტალეირანისგან ვერ გაურჩევია და ჯემალ გამახარია – გიორგი გახარიასგან.

ისედაც სახელგატეხილი ქართული პოლიტიკა კიდევ უფრო მაშინ გაირყვნა და გათახსირდა, როცა ჰალსტუხიანმა ხვლიკებმა, ულვაშიანმა ქათმებმა და ბაკენბარდებიანმა ბატებმა დაიკავეს ადგილები ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ეს მანკიერი პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა უკანასკნელ პერიოდში, რადგან საქართველოს პარლამენტი ათასი ჯურის თაღლითებისა და მედროვეების თავშესაფარი გახდა.

2021 წლის იანვარში, როცა დიდი გაწევ-გამოწევა იყო გაჩაღებული პარლამენტში შესვლა-არშესვლის გამო, „სტრატეგია აღმაშენებლის" წევრმა სერგო ჩიხლაძემ საჯაროდ ამხილა მთავარი „მოქალაქე": „ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, სად შევა ან გამოვა ელისაშვილი. რა მნიშვნელობა აქვს სხვა ოპოზიციურ პარტიებზე ჭორაობასა და ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელებას პარლამენტში გააგრძელებს თუ გარეთ?!"

**მე არ ვიცი, მამუკა ხაზარაძე წმინდა მდინარე იორდანეში განიბანა თუ სხვა გზებით განიწმინდა მიწიერი ცოდვებისგან,**

**სალომე ზურაბიშვილი და რევანშისტული ოპოზიცია ერთი დღის წესრიგით რომ მოქმედებენ, თვალნათლივ დაადასტურა გიორგი გახარიას ფროიდისეულმა წამოცდენამ, პირველი ფაზა ახალ წლამდე თუ არა, 20 იანვრამდე მაინც უნდა დავასრულოთო. დარწმუნებული ვარ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ეცოდინება, თუ რას ითვალისწინებს მეორე ფაზა და პრევენციული ხასიათის ზომებიც დროულად იქნება მიღებული.**

**ელისაშვილის გული რომ მოინადირა, მაგრამ ამათი სიამტკბილობით ერთობა ვერაფრით წარმომიდგენია. სამაგიეროდ, საშიშროება არ ემუქრება მელია-გვარამიას კავშირს, რომლებმაც ჰალსტუხები კი გაცვალეს ერთმანეთში, თუმცა იდეებს ვერ გაცვლიან, რადგან ორივეს ერთნაირი მსოფლმხედველობა აერთიანებთ!**

ანტიკური ეპოქის ისტორიამ შემოგვინახა ნერონის მაგალითი, რომელიც გარდაუვალი დაისის მოლოდინში გულდამწვარი ჭირისუფალივით ქვითინებდა: მე ყველაზე უბედური იმპერატორი ვარ, რადგან სიცოცხლეშივე ვკარგავ ძალაუფლებასო. შესაძლოა, უხეირო პარალელი იყოს, მაგრამ ასეთივე ისტერიკაშია სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ორივე ხელით არის ჩაფრენილი პრეზიდენტის სავარძელს და მიზანმიმართულად აზიანებს სახელმწიფოს ინტერესებს. ბრიუსელში ყოფნისას ზურაბიშვილმა ისეთი ჭორების კორიანტელი დააყენა, ბარონ მიუნჰაუზენსაც კი შეშურდებოდა. შესაძლოა, ვინმემ გაიფიქროს, ეს იყო სასოწარკვეთილების ზღვარზე მყოფი პრეზიდენტის კუდის მოქნევა, რაც გავლენას ვერ მოახდენს საერთო მდგომარეობაზე.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მზაკვრობასთან გვაქვს საქმე, შეგვიძლია მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი. გაცილებით ადრე, ვიდრე ევროპარლამენტის პრეზიდენტი რობერტა მეცოლა ბრიუსელში მიიწვევდა, სალომე ბიცოლამ მავნებლური განაცხადი გააკეთა: „მე ნაკლებად მჯერა ევროკავშირის სანქციების... შეიძლება იყოს შეზღუდვები სხვა ფორმით, შეზღუდვები ყველა იმ დახმარებაზე, რომლებზეც ჩვენი ბიუჯეტი და ჩვენი პროგრამები ძალიან დამოკიდებულია. ეს გააძლიერებს ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისს".

სავარაუდოდ, მსგავსი შემთხვევა ექნებოდა მხედველობაში გენიალური ავტორს, როდესაც იგავთა წიგნში ასეთი პასაჟი შეიტანა: „უმჯობესი არს ცხოვრება ქვეყანასა შინა უდაბურსა, ვიდრეღა ცხოვრება დედა-კაცისა თანა მოღალატისა, და ენოვანისა და მრისხანისა".

**სალომე ზურაბიშვილი და რევანშისტული ოპოზიცია ერთი დღის წესრიგით რომ მოქმედებენ, თვალნათლივ დაადასტურა გიორგი გახარიას ფროიდისეულმა წამოცდენამ, პირველი ფაზა ახალ წლამდე თუ არა, 20 იანვრამდე მაინც უნდა დავასრულოთო. დარწმუნებული ვარ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ეცოდინება, თუ რას ითვალისწინებს მეორე ფაზა და პრევენციული ხასიათის ზომებიც დროულად იქნება მიღებული.**

თქვენი მონა-მორჩილის ვარაუდით, შორს არ უნდა იყოს ის დრო, როცა ევროკავშირის რომელიმე კომისარი, ნანა მჭედლიძის „იმერული ესკიზების" კინომექანიკოსივით გადმოდგება მაღალი ტრიბუნიდან და პარლამენტის წინ შეკრებილ პროტესტანტებს გადმოსძახებს: დამთავრდა, წაით სახლში!

**ჩემო სამშობლო, მერამდენედ მიუყვები**
**გზას გოლგოთისკენ,**
**ეკლის გვირგვინით შემკობილი**
**ჩუმ-ჩუმად კვნესი,**
**მაგრამ გახსოვდეს, ჯვარზე გაკვრას**
**აღდგომა მოსდევს,**
**ამაღლდები და კვლავ იხარებს**
**ქართული ფესვი!..**

მინდა, მჯეროდეს, რომ ამ საახალწლო დღეებში მოწყალე თვალით გადმოგვხედავს მაღალი ღმერთი და მშვიდობა დაისადგურებს ღვთივკურთხეულ საქართველოში.



**თეიმურაზ ჯანელიძე,**
*წყალტუბო – ჩუნეში.*



**რუსთაველის პროსპექტზე ხეტიალი ნუ მომიშალოს ღმერთმაო, ნატრობდა ლადო ასათიანი, უმიზნოდ ხეტიალი კი არა, ისეთი დაპირისპირების არენად არის რუსთაველის პროსპექტი გადაქცეული, სასწრაფო დახმარების ბრიგადებსაც კი ვერ მიუღწევიათ დანიშნულების ადგილამდე.**

## სოზარ სუბარი:

# ზელენსკის მადლობას უხდიან, ბიძინა ივანიშვილს ასანქცირებენ!



**„ზელენსკის არც ერთი სიტყვა უკრაინულად არ უთქვამს მანამდე, სანამ პრეზიდენტი არ გახდა. მთელი მისი მასხარაობა იყო რუსულად, ამიტომ მის მშობლიურ ენაზე ვეტყვი, რომ რასაც ის აკეთებს ეს არის „ვისკაჩკობა", მის სიტყვას პატივს არავინ სცემს", – ასე აფასებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი სოზარ სუბარი უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებას „ქართული ოცნების" დამფუძნებლისა და საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის დასანქცირებაზე.**

„ზელენსკიმ გაანადგურა უკრაინა და მას და მასთან ერთად იმ ძალებს, რომელსაც ჩვენ გლობალური ომის პარტიას ვუწოდებთ, სურდათ საქართველო ჩაერთოთ ამ ომში. საქართველოს ავარიდეთ ის, რაც დღეს ხდება უკრაინაში. ამისთვის მადლობას უხდიან ზელენსკის, რასაც აკეთებს უკრაინაში, გმირად ჰყავთ გამოცხადებული, ბიძინა ივანიშვილს – ასანქცირებენ.

ამ შემთხვევაში ნაკლებად სანატრელია ზელენსკის ბედი. ბიძინა ივანიშვილს ისტორია შეაფასებს როგორც ქვეყნის გადამრჩენელს და გმირს, ზელენსკის მოუწევს უკრაინელი ხალხის მიერ გასამართლება", – აღნიშნა სოზარ სუბარმა.

## ზურაბ მანჯავიძე:

# სიტყვა „მორალი" მათი ბაგეთაგან სრულიად ამორალურად ჟღერს!



**„მათ ბულინგს არანაირი შედეგი არ ექნება და დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანები მხოლოდ თავის თავს დაიზიანებენ. ვთხოვ მათ, მორალს მაინც ნუ ეხებიან, რადგან სიტყვა "მორალი" მათი ბაგეთაგან სრულიად ამორალურად ჟღერს", – ამის შესახებ საზოგადოება „ქართულის" წევრმა, მუსიკოსმა ზურაბ მანჯავიძემ „დღის ქრონიკაში" ისაუბრა.**

„ძალიან მწარედ შეგვეხო მაშინდელი სამთავრობო ბულინგი და დღეს რომ ადამიანები გამოჩნდნენ და ცდილობენ მიგვითითონ, თუ როგორ მოვიქცეთ, არასდროს მე ამ ხალხისგან ერთი მხარდამჭერი განცხადება არ მახსოვს, როდესაც უამრავი ადამიანი ჩვენსავით, „ფორტესავით" კარს მიღმა ვიდექით და არანაირი კონცერტი ჩვენთვის არ არსებობდა. არათუ კონცერტი არ არსებობდა, ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე იყო ძალიან ხშირად საუბარი და, რა თქმა უნდა, ეს „მორალურად მყარი ადამიანები" დღეს რომ თავისი ჭკუით გვაბულინგებენ, მაშინ ჩირგვებში იმალებოდნენ, ყველაფერი კარგად იცოდნენ და ხმას არ იღებდნენ, რადგან ეს მაშინ მათთვის მომგებიანი არ იყო, არც ფინანსურად და არც ვაჟკაცურად.

პირადად ჩემთვის ძალიან სასაცილოა, მათი ბულინგის მცდელობა, რომელსაც ჩვენზე არანაირი რეაქცია არ ექნება. სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც მტკივნეულად განიცდიან ჩაგვრის ყოველგვარ სახეობას, მაგრამ მერწმუნეთ, მათ ბულინგს არანაირი შედეგი არ ექნება და დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანები მხოლოდ თავის თავს დაიზიანებენ. ვთხოვ, მორალს მაინც ნუ ეხებიან, რადგან სიტყვა მორალი, მათი ბაგეთაგან სრულიად ამორალურად ჟღერს."



## კონფლიქტის მხარეების ხელისუფალთა

**მთებს ამოფარებულმა მზემ, ბოლოს და ბოლოს, გამოანათა და მიანათა აფხაზეთისა და ცხინვალისკენ მიმავალ გზებს, განთიადიაა! ვითომ!**

# სიმართლე აფხაზეთზე, ანუ იმაზე

**ამას წინათ ქვეყნის ლიდერის მიერ საარჩევნო პროგრამაში გაჟღერებული სიტყვები მეხივით გავარდა მოწმენდილ ცაზე. წლობით სამარისეული სიჩუმე დაირღვა – ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი გააქტიურდა. მისასალმებელია, რომ ხელისუფლება განიხილავს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და აფხაზეთში დაბრუნების მხოლოდ მშვიდობიან გზას, მაგრამ არის თუ არა გათვალისწინებული და გათვლილი ყველა გზა – გათვალისწინებულია თუ არა ამ საქმეში განდგომილი რუსეთის როლი და ადგილი?**

რუსეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლად, მასთან ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის პირობებში, განდგომილ ტერიტორიებთან დიალოგი და კონფლიქტის მოგვარება არარეალურია. აპირებს თუ არა ხელისუფლება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას, თუ კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება კვლავ ამერიკისა და ევროკავშირის ქვეყნების დახმარების იმედად რჩება? ამ შემთხვევაში ეს დაპირებები რეალობას მოკლებულია.

როგორც აფხაზეთის მკვიდრი და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბევრი მივლია ადრე აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების გზებზე და ბევრი მიფიქრია იმაზე თუ როგორ შეიძლება მოგვარდეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და მოხდეს დიდი შერიგება ჩვენს ხალხებს შორის. წლების განმავლობაში საკუთარი ინიციატივით ჩავდიოდი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და ვხვდებოდი აფხაზი ხალხის ლიდერებსა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებს. ვეცნობოდი მათ შეხედულებასა და მიდგომებს ჩვენს ხალხებს შორის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებთან დაკავშირებით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სხვებთან შედარებით, უფრო მეტად ჩახედული ვარ ამ საკითხებში და ეს მაძლევს უფლებას, გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრებები კონფლიქტის გარშემო.


ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი

**ახლა კი, რაც ასაკისა და შერყეული ჯანმრთელობის გამო ჩამოვცილდი პროფესიულ და ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობას, უფრო გაღრმავდა და გამძაფრდა ჩემში ფიქრი და დარდი აფხაზეთზე. არ მასვენებს ფიქრი იმაზე, თუ რატომ და როგორ დავკარგეთ აფხაზეთი! ცხადია ერთი, რომ ჩვენს ხალხს არ დაუკარგავს იგი. აფხაზეთი დაკარგა არალეგიტიმურმა უზნეო და ერის მოღალატე ხელისუფლებამ და ახლა ზოგიერთი მათგანი განისვენებს ტერენტი გრანელისა და ელენე ახვლედიანის გვერდით! ეს არის ჩვენი ეროვნული ურთიერთობის, ეროვნული მიმტევებლობისა და გულუბრყვილობის შედეგი! არა და ასეთ საკითხებში ერი და ბერი შეუვალი და დაუნდობელი უნდა იყოს!**

**როცა ვფიქრობთ და ვსაუბრობთ აფხაზეთისკენ მიმავალ გზებზე, უნდა ვგულისხმობდეთ იმ გააზრებულ მიდგომებზე და შეთავაზებებზე, რომლებიც გააერთიანებს ადამიანებს და პირველ რიგში საუკუნეობით გვერდიგვერდ მცხოვრებ ხალხებს – ჭირსა და ლხინში თანამდგომ და ერთმანეთისკენ მისასვლელ გზებზე. მხოლოდ ასე შეიძლება შედგეს დიდი შერიგება!**

ეს შესაძლებელია იმდენად, რომ აფხაზი და კოლხი (შემდგომში ქართველი) ხალხი ოდითგანვე სახლობდნენ გვერდიგვერდ და, ამდენად, ეკუთვნოდნენ ერთ კოლხურ – იბერიულ სამყაროს, ამიტომაც ასე აშკარადაა გამოხატული მათ ცნობიერებაში, მენტალიტეტში ადათ-წესების, ჩვეულებების და ზნეობრივ-გონებრივი იდენტურობა. მათ შორის, როგორც არსად სხვაგან, გავრცელებული იყო სისხლით ნათესაობა, შერეული ოჯახის შექმნის მისწრაფებები და მორდუობა, როგორც აფხაზეთში, ასევე სამეგრელოში სტუმარს ხვდებოდნენ და აცილებდნენ დიდი ეზოს ჭიშკრამდე პურმარილით და ხელგაშლილად.

ასე იყო ოდითგანვე და ამან უნდა გადაგვარჩინოს!

ჩვენ ხალხებს შორის წარსულშიც ხდებოდა ურთიერთწყენა და ქიშპი, შეხლა-შემოხლაც კი, მაგრამ ეს დროულად გვარდებოდა და მათ შორის გადებული გზები არასდროს ყოფილა უკაცრიელი. ამ მოვლენას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეს!

დღეს კი ჩვენ უღვთოოდ გავწირეთ ერთმანეთი. ერთმანეთისკენ მიმავალი ჩვენი გზები ჩახერგილია, გაუცხოება და უნდობლობა მძლავრობს მეგობრობასა და სიყვარულზე. ამან უნდა დაგვაფიქროს. დრო კი გასულია საკმაოდ! გვესმის მხოლოდ სიტყვები, საქმიანი მიდგომა და ქმედებები არ ჩანს, აქა-იქ დღესაც გაისმის სიტყვები, რომ აფხაზეთი ქართული მიწა-წყალია და ადრე თუ გვიან ის მაინც დაუბრუნდება დედასამშობლოს.

ასეთ ადამიანებს აფხაზეთი წარმოუდგენიათ მხოლოდ მისი წალკოტი ბუნებით, და ამ დროს აფხაზეთი კი, პირველ რიგში, მისი განუმეორებელი კულტურის მქონე ხალხია.

ეს დასანანია! ისმის კითხვა: – მაშ სად


ალექსანდრე ანქვაბი


სერგეი ბაღაფში


ანრი ჯერგენია


კონსტანტინე ოზგანი

# და ხალხთა საყურადღებოდ!

# თუ როგორ გასწვისდა იგი



ვლადისლავ არძინბა, ბორის ელცინი, ედუარდ შევარდნაძე

არის მათი სამშობლო, მათი მიწა-წყალი?! ისინი ქრისტესშობამდე სახლობდნენ ამ მიწაზე, ოღონდ ცოტა ზემოთ! ჩვენ ყველანი საიდანღაც აღმოვჩნდით ამ მიწა-წყალზე და ოდითგანვე ვსახლობთ გვერდიგვერდ. დროთა განმავლობაში შევიჭერით ერთმანეთის ადათ-წესებსა და კულტურაში. ამიტომაა ჩვენში ამდენი სახის იდენტურობა მსგავსება, ნათესაობა.

სწორედ ამ ფაქტორს, ჩვენს იდენტურობას, უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი როლი ჩვენი შერიგებისას!

**ამდენად, ჩვენ აფხაზეთი კი არა, უნდა დავიბრუნოთ, პირველ რიგში, ჩვენი სისხლ-ხორცით ახლო და მოძმე ხალხი – აფხაზები! სხვაგვარი მიდგომით კონფლიქტის მოგვარება და აფხაზეთის დაბრუნება არარეალურია!**

მაშ რა არის საჭირო საამისოდ?! საიდან უნდა დავიწყოთ?!

ამისთვის საჭიროა რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება! შემდეგ საჭიროა შეცდომების აღიარება და ურთიერთმობოდიშება.

სიმართლის აღიარება და ბოდიშის მოხდა ნებისმიერი შერიგების თანამგზავრია და აქ არაფერია საჭოჭმანო. ასე იყო ოდითგანვე და მობოდიშებას არაფერი აქვს საწინააღმდეგო ეროვნულ თავმოყვარეობასთან. მოიხადა გერმანელმა ხალხმა ფაშიზმის გამო ბოდიში დანარჩენი სამყაროს წინაშე, მაგრამ ამან შელახა მათი თავმოყვარეობა? არა, არა და არა, პირიქით, უფრო ამაღლდა მათი ავტორიტეტი მსოფლიოს ხალხების თვალში!

მაშ ასე, სიმართლე, სრული სიმართლე. ნახევარი სიმართლით ფონს ვერ გავალთ. საჭიროა სრული სიმართლე, დაშვებული შეცდომების დაუფარავად აღიარება. ძალა მხოლოდ სიმართლეშია, ის სჭირდება ორივე მხარეს.

სიმართლე კურნავს! მხოლოდ მას შეუძლია მიიყვანოს კონფლიქტში მყოფი მხარეები მოლაპარაკების მაგიდასთან.

სწორედ კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა უნდა აღიარონ თავიანთი შეცდომები.

შეცდომები კი ორივე მხარეზე ძალიან ბლომად იყო.

შეცდომის აღიარებისა და მონანიების პროცესი ერთდროულად უნდა მიმდინარეობდეს, და ის გულრწფელი უნდა იყოს, რომ მათი გამოწვდილი ხელი ჰაერში არ უნდა ჩამოეკიდოს!

**პირველ რიგში ჩვენ, ქართველებმა უნდა ვაღიაროთ ჩვენი იმდროინდელი ხელისუფლების უგუნური, წინდაუხედავი შეცდომები. ეროვნულ დროშას და ლოზუნგებს ამოფარებულ, ჩამოსულ თუ ადგილობრივ ცრუ პატრიოტებს, ერთ-უჯრედიან ე.წ. პოლიტიკოსებს მიუძღვით ლომის წილი აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში. მათზე ასე ღიად ვუთითებ იმიტომ, რომ ქართულ მხარეს და მის ხელისუფლებას მეტი მოეთხოვებოდა, მათ უნდა გამოეჩინათ მეტი სწრაფვა და სურვილი, მათ უნდა გამოენახათ აფხაზ ხალხთან საერთო ენა, შეგვესწავლა თუ რით იყვნენ განაწყენებული აფხაზები და შეიარაღებულ კონფლიქტამდე არ უნდა მიეყვანა საქმე, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურ მიტინგებში ხშირად გაისმოდა საქართველოდან გამოყოფისა და რუსეთთან მიერთების ლოზუნგები.**

ძალისმიერი მიდგომის ნაცვლად უნდა აგვეხსნა ჩვენი მეგობრებისთვის, რომ ავტონომიებისა და ქვეყნიდან გამოყოფის უფლებები საერთაშორისო სამართლის მიხედვით ეძლევათ არა ეროვნული ნიშნით ხალხის ნაწილს, არამედ მთლიანად ხალხს. აფხაზთა ავტონომიური სახელმწიფოს მოსახლეობის 17-პროცენტიან მოსახლეობას ხსენებული საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ასეთი უფლება არ ეკუთვნოდა დანარჩენი, მათ შორის ქართველთა 47%-იან მოსახლეობის ინტერესების გაუთვალისწინებლად. აი ამაზე ხშირად უნდა გვესაუბრა აფხაზ ხალხთან და გაგვემართა მათთან კონსტრუქციული დიალოგი უპირველეს ყოვლისა აფხაზთა ინტერესების გათვალისწინებით.

აი, რაში დავუშვით ჩვენ, ქართველებმა საბედისწერო შეცდომა, რადგან ასეთი კონსტრუქციული დიალოგის პრეცედენტიც არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ მე, როგორც დეპუტატმა, გუდაუთაში უხუცესთა საბჭოს წევრებთან და „აიდგილარას“ თავკაცებთან არაერთი შეხვედრის შემდეგ მივაღწიე იმას, რომ აფხაზური მხარის ლიდერები **სერგეი ბაღაფშის, ზურაბ აჩბას, ანდრია ჯერგენიასა და დავით ფილიას** შემადგენლობით შეხვდნენ თბილისში სახელმწიფო საბჭოს იმდროინდელ ლიდერებს **– ედუარდ შევარდნაძეს, ჯაბა იოსელიანს, თენგიზ კიტოვანსა** და **თენგიზ სიგუას,** რომელსაც თავად ვესწრებოდი, როგორც შეხვედრის ორგანიზატორი. შედგა ღია საუბარი აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე.

აფხაზური მხარე მაშინ დაბეჯითებით ითხოვდა, რომ სოხუმში ჩასულიყო ბატონი შევარდნაძე და შეხვედროდა ვლადისლავ არძინბას.

ბატონი ედუარდი სოხუმში ჩასვლას დაგვპირდა, მაგრამ ეს არ შეასრულა, მოგვატყუა! როდესაც იმ დროს, ყოველ მეორე დღეს დარბოდა „განდგომილ“ აჭარაში, ასლან აბაშიძესთან!

აშკარაა, რომ მათ არ აწყობდათ აფხაზეთში ფეთქებადსაშიში მდგომარეობის დარეგულირება, განმუხტვა და არსებული პრობლემების მოგვარება! უფრო პირიქით, მათ აწყობდათ კონფლიქტი აფხაზეთში, რათა აზვირთებული ხალხის ენერგია და ძალისხმევა მიემართათ სხვაგან, რადგან მათი სამთავრობო სავარძლები ძალზე შერყეული იყო და მათი დამხობის შესაძლებლობა რეალური გახლდათ. ამიტომ მათ ხელს აძლევდათ აფხაზეთში შეიარაღებული შეტაკება, რათა ხალხისთვის ეთქვათ: რა დროს სამოქალაქო ომია, როდესაც ვიღუპებით, იკარგება აფხაზეთი და რა დროს ჩვენი ქიშპობაა!

ამაზე მეტყველებს სხვა მოვლენებიც. მათთვის ვისაც ეეჭვება და სკეპტიკურად შეხვდება ჩემს შეფასებებს, მოვიყვან კიდევ ერთ შემაშფოთებელ ფაქტს, მაგრამ ამ შემთხვევაში ქვეყნის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ **ალექსანდრე ჩიკვაიძის** წიგნიდან: **„პოლიტიკური ჭადრაკები სამი სხვადასხვა ქვეყნის ელჩების თვალით“.**

**„1993 წლის სექტემბრის თვეში, სოხუმის დაცემამდე ორი დღით ადრე, ჩემს კაბინეტში ვსაუბრობ რუსეთის ელჩ ბატონ ზემსკისთან გაისმის ტელეფონის ზარი – მირეკავს ვლადისლავ არძინბა: „მინდა შევხვდე შევარდნაძეს, – მესმის ყურმილში, – მე მზად ვარ მოლაპარაკებისთვის. სადაც გინდათ, როდესაც მოისურვებთ“! – მე ვპასუხობ, ჟენევის შეხვედრების თემით. „ჟენევის შეხვედრები – ეს ერთია, მე კი მინდა რომ მე შემხვდეს პირადად შევარდნაძე. ბატონო მინისტრო, ბატონო ალექსანდრე დავითის ძევ, იქნებ, დაუკავშირდეთ მას და გადასცეთ, რომ მე მზად ვარ მასთან დიალოგისთვის, მოვდივარ პირდაპირ დიალოგზე“** – ამბობს არძინბა.

**ამ დროს შევარდნაძე სოხუმშია და კავშირი მასთან ხერხდება მხოლოდ ვაჟა ლორთქიფანიძის მეშვეობით. მე ვპირდები არძინბას, რომ შევეცდები დავუკავშირდე შევარდნაძეს. ბოლოს გაისმის ტელეფონის ზარი და მკვეთრად მესმის ვაჟა ლორთქიფანიძის ხმა: – „შევარდნაძემ თქვა, – გადაეცი საშას, უთხრას არძინბას, რომ ვერ მნახა მე!..**

**დაახლოებით ათი წუთის შემდეგ მდივანს შემოაქვს არძინბას დეპეშა, რომელშიც ის ითხოვს შევარდნაძესთან გადაუდებელ, სასწრაფო შეხვედრას“.**

**შეგახსენებთ კიდევ ერთხელ, რომ ეს ხდება სოხუმის დაცემამდე ორი დღით ადრე! ამ დროს დიდად პატივცემულ ედუარდს არ სურს შეხვდეს არძინბას, „გაბრაზებულია“, გაურბის მასთან შეხვედრას!? მას არ სცალია არძინბასთვის! იგი ნადარეიშვილსა და კაკუბავასთან ერთად აწყობს მრავალათასიან ანტი-აფხაზურ მიტინგს, რათა მთავრობის აფხაზური ნაწილი არ ჩამოეშვათ სოხუმში. ორიოდე დღით ადრე ე. შევარდნაძე მიზარებს თბილისში და მაგზავნის მოსკოვში ისკანდერსა და ტარას შამბასთან თხოვნით, რათა აფხაზებს მხარი დაეჭირათ სოჭის ხელშეკრულებისთვის. ეს ხდება სოჭის 1993 წლის 27 ივნისის ქართულ-აფხაზური სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ, რომელიც ითვალისწინებდა სწორედ მათ დაბრუნებას და ჩვენს შორის მშვიდობიანი დიალოგის დაწყებას ნორმალური, მშვიდობიანი პოლიტიკური მოწყობის შესახებ.**

**აქ ყველაფერი დღესავით ნათელია. კომენტარი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გონიერი მკითხველისთვის მომინდვია. აქ უკეთესია ვაღიაროთ, საქართველოს ხელისუფლების საბედისწერო და ღალატის ტოლფასი მოქმედებები, დაშვებული ხალხისა და ქვეყნის წინაშე.**

ქვეყნის თავკაცებისა და მათი გარემოცვის ჩადენილი მსგავსი საბედისწერო, ღალატის ტოლფასი ქმედებები რამდენია, ვინ მოთვლის, მაგრამ ორ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტზე არ შემიძლია არ შევაჩერო მკითხველის ყურადღება!

**აფხაზური** მხარე ომის დროსაც და ომის შემდეგაც ყოველთვის მზად იყვნენ კონსტრუქციული დიალოგისთვის. ისინი ეძებდნენ კონფლიქტიდან გამოსვლის გზებს და დათმობებზე მოდიოდნენ. ეს იგრძნობოდა კონსტანტინე ოზგანთან ჩემი შეხვედრების დროსაც. ამ მხრივ, გამორჩეულია ჩვენი შეხვედრა ქ. ადლერში. ის შედგა აფხაზური მხარის ინიციატივით და შევარდნაძის თანხმობით, ამიტომ სწორი იქნება თუ მასზე შევჩერდებით.

ეს ხდება იმ დროს, როდესაც შევარდნაძემ ჩვენი ჯარების წინსვლა შეაჩერა ქვემო ეშერაში და შემდგომ გუმისთაზე ხდებოდა ავტომატური გასროლები კანტი-კუნტად. მხარეების მებრძოლებთან შერიგების მსვლელობას რომ ჰქონდა ადგილი და პურმარილსაც რომ იყოფდნენ – ედუარდ შევარდნაძესა და ვლადისლავ არძინბას, პრეზიდენტ ბორის ელცინის ინიციატივით, მოსკოვური შეხვედრის წინ.

ჩვენი შეხვედრა ძალდაუტანელ ვითარებაში მიმდინარეობდა. ვაღიარეთ, რომ საომარი მოქმედებების გაგრძელება სრული უგუნურება იყო, ოზგანი დაჟინებით



თამაზ ნადარეიშვილი



გივი ლომინაძე

გაგრძელება მე-10 გვ.

# სიმართლე აფხაზეთზე, ანუ იმაზე თუ როგორ გასხვისდა იგი



მეცხრე გვერდიდან

მოითხოვდა შევარდნაძესა და არძინბას შეხვედრას. მთხოვდა, რომ ეს ოფიციალურად გადამეცა თბილისისთვის. ჩემს შეკითხვაზე თუ რა საკითხი იქნებოდა უმთავრესი მათი შეხვედრის დროს და თუ არის მზად აფხაზური მხარე კონსტრუქციული დიალოგისთვის და აფხაზური მხარე არ დააყენებდა საკითხს ქვეყნის შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ. მან მიპასუხა: – **„У нас есть о чем поговорить,мы можем договориться, но для этого нужна их встреча. Я думаю, что они договорятся“.**

მე შევახსენე, რომ შევარდნაძე და არძინბა შეხვდებიან ერთმანეთს ერთი კვირის შემდეგ მოსკოვში, რით იყო გამოწვეული ასეთი ნაჩქარევი ინიციატივა. მან მიპასუხა: **„Московская встреча, это инициатива России,там ничего не будет решаться, эта встреча будет носить только дипломатический характер, нам же нужен прямой диалог между нами,где должна решиться судьба Абхазии – какой она будет, такой же или чуть меньше, но свободной, независимой!“** მე შევეკითხე მას: – რა, აპირებთ აფხაზეთის გაყოფას!? **„Мы готовы поделить Абхазию по Гумисте, от Гумисты нам хватит. Мы маленький народ и этой территории, для нас достаточна“** მე გავოცდი! მაშინ მან დააზუსტა და თქვა: – **„Нет, нам хватит эта территория, есть ведь в Европе такие маленькие государства, какими являются Лихтенштеин, Монако, Люксембург, Сан-Марино и др. Вот об этом можно поговорить на высоком уровне. Это кажется нам весьма реальным“**, – თქვა მან.

რა სოხუმსაც გვიტოვებთ ჩვენ? – შევეკითხე მე. **„Да и Сухуми“**, – თქვა მან და მომეჩვენა, რომ ის აბსოლუტურად გულწრფელი იყო თავის პასუხში.

ბატონ ოზგანთან მისი ინიციატივით შემდგარ შეხვედრაზე და ჩვენს შორის გამართულ დიალოგზე თამაზ ნადარეიშვილის მეშვეობით გადავეცი ბატონ შევარდნაძეს, მაგრამ მან გადასცა ეს შევარდნაძეს თუ არა, ვერ გეტყვით, რადგან ამას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ამდენად, ვეჭვობ რომ არა !

აქ ოზგანის მიერ შემოთავაზებულ საკითხზე, მის ავკარგიანობაზე კი არ ვამახვილებ ყურადღებას, არამედ იმაზე, თუ როგორ ეძებდნენ აფხაზები დიალოგისა და შერიგების საშუალებებს და როგორ გაურბოდა შევარდნაძის ხელისუფლება მათთან ყოველგვარ მოლაპარაკებებს და კონსტრუქციულ დიალოგს.

ადგილობრივი ე.წ. ხსნის ეროვნული საბჭო ბატონ ბორის კაკუბავას თავკაცობით, უფრო მეტიც, ქმნიდნენ აფხაზი ხალხისგან მტრის ხატს და მოუწოდებდნენ მათ ქვეყნის ტერიტორიიდან განდევნისკენ!

არანაკლები საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო ჩემი შემდგომი შეხვედრა ბატონ ოზგანთან.

ეს იყო დაახლოებით ერთი თვის შემდეგ შევარდნაძესა და არძინბას მოსკოვური შეხვედრიდან!

ერთ მშვენიერ დღეს, მირეკავს აფხაზეთის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი და მეუბნება: – „ოზგანია ხაზზე და ითხოვს შენთან საუბარს“. მე მივედი იოსელიანთან, მან უშიშროების ხაზით დამაკავშირა ოზგანს. ის მეუბნება: – **„Собирай свою команду, мы должны встретиться, нам надо переговорить! Я со своими друзьями приеду в Сухуми“.**

დეპუტატთა დიდი ჯგუფით, გაგანია ომის დროს, რუსული ვერტმფრენით ჩამოდის სოხუმში. ჩვენი შეხვედრა შედგა უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ავთანდილ იოსელიანის კაბინეტში. იოსელიანის გარდა ჩვენს შეხვედრას ესწრებოდნენ დეპუტატი აკაკი გასვიანი და საქართველოს სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთის საკითხებში გოგა ხაინდრავა.

საუბარი დაიწყო ბატონმა ოზგანმა. მან აიღო ხელში რაღაც დოკუმენტი და გაიშვირა ჩემსკენ: „Допустим такую ситуацию: Мы бросаем оужие, какой будет Абхазтя в составе Грузии?!“

რა თქმა უნდა, საუბარი იყო აფხაზეთის სახელმწიფო-სამართლებრივ მოწყობაზე საქართველოს შემადგენლობაში?!

ჩვენ მოველოდით ყველაფერს, მაგრამ არა ამას! შოკირებული დავრჩით. ეს გარღვევა იყო ჩვენს ურთიერთობაში! თუ ქართული მხარე, მისი ხელისუფლება გამოიჩენდა ელემენტარულ გონიერებას, აფხაზური მხარე მზად იყო შეეწყვიტა საომარი მოქმედებები და მიჯდომოდა მოლაპარაკებების მაგიდას.

მე ჩამოვაყალიბე ჩვენი, ქართული პოზიცია და მიდგომა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ და ვისაუბრე აფხაზეთის გაფართოებულ პოლიტიკურ მოწყობაზე და კულტურულ-ეკონომიურ უფლებებზე. დეტალურად შევჩერდი ცენტრსა და პერიფერიებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხებზე. ხაზგასმით ვისაუბრე იმაზე, რომ ავტონომიას უნდა მისცემოდა მეტი უფლებები და შესაძლებლობები, ვიდრე აქამდე გააჩნდათ. მაგალითისთვის, აღვნიშნე, რომ აფხაზეთის მინისტრები და საწარმოების ხელმძღვანელები უნდა ინიშნებოდეს არა ცენტრში, არამედ სოხუმში.

არ მქონდა დამთავრებული საუბარი, რომ სხდომათა დარბაზში შემოდის დაუპატიჟებელი სტუმარი გივი ლომინაძე, არავის ესალმება, ჯდება და უსმენს, თუ რა დიალოგია ჩვენს შორის, როცა დავამთავრე საუბარი აფხაზთა დელეგაციის წევრი, აფხაზეთის დღევანდელი მთავრობის თავკაცი (უკვე ყოფილი) ბატონი ალექსანდრე ანქვაბი ამბობს: „Мы первый раз слышим от грузинской стороны конструктивные предложения“!

ასეთ დროს დგება ლომინაძე და ტოვებს დარბაზს. ბატონი ოზგანი კი ამბობს: „Ну, есть над чем подумать, прервё мся на недедю и встретимся вновь, чтобы принять окончтельное решение“.

ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ იღება კარი და შემოდის თამაზ ნადარეიშვილი გენერლის სამხედრო ფორმაში, ავტომატით შეიარაღებული, 5-კაციან ჯგუფთან ერთად და იძლევა ბრძანებას: – „დააკავეთ ყველა, მათ შორის ქართველი დეპუტატები, რომლებიც საუბრობენ პირსისხლიან მტრებთან!!!“

**პირველი მე აღმოვჩნდი, რომელმაც გავბედე და გაბრაზებულმა ნადარეიშვილს ვუთხარი: – ეს შენ ხარ თავიდან ფეხებამდე გასვრილი სისხლით და თუ გყოფნის ვაჟკაცობა, ოზგანს და მის მეგობრებს, შეგიძლია შეხვდე გუმისთის იქით!.. და ტანით გავიტანე ის კარის გარეთ...**

ისე გავაცილეთ აფხაზები „მაიაკამდე“, სადაც ელოდებოდა მათ რუსული ვერტმფრენი და ისე დავშორდით ერთმანეთს, რომ არც მოუხედავთ ჩვენსკენ.

მეორე დღეს სოხუმის მოწმენდილ ცაზე პირველად გამოჩნდნენ ჭურვები და დაიწყო აფხაზი თუ რუსი ბოევიკების უწყვეტი თავდასხმა....

ასე უშედეგოდ დასრულდა ხელისუფლებასთან შეთანხმებული ეს მეტად საქმიანი და მნიშვნელოვანი ჩვენი შეხვედრა აფხაზურ მხარესთან. ამასაც, როგორც ბევრ სხვა დანაშაულებრივ, ქეყნის მთლიანობისთვის მცდარ ნაბიჯებს, ამ შემთხვევაში ნადარეიშვილისა და ლომინაძის ქმედებებს, არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

ნუთუ ეს ნადარეიშვილმა და ლომინაძემ ჩაიდინეს თბილისის დაუკითხავად ?! მაშინ, რეაგირება რატომ არ მოჰყვა?!



**ნაპო მესხია,**
**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, „სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს“ თავმჯდომარის მოადგილე, ნეიროქირურგიის დოქტორი, პროფესორი**

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

## ვატო შაქარიშვილი:
## „რაც დრო გავა, მეტად გავაცნობიერებთ, თუ რა მასშტაბის ბრძოლა მოვიგეთ“

მესამე გვერდიდან

„დიფ სტეიტი“ – რომელსაც ხშირად ვახსენებთ, ამაზე ლაპარაკობს აშშ-ის არჩეული პრეზიდენტი ტრამპი და მისი გუნდის თითქმის ყველა წევრი – ტრამპმა ერთ-ერთ მთავარ მიზნად დაისახა მისი დანგრევა, რომელმაც არა მარტო ამერიკას, მთელ მსოფლიოს დიდი უბედურება მოუტანა, როდესაც „დიფ სტეიტზე“ ვსაუბრობთ, უნდა გვესმოდეს, რომ ეს არ არის ერთი კონკრეტული ჯგუფი, კონკრეტული პარტიის წარმომადგენლები, ეს მოიცავდა რესპუბლიკური პარტიისა და დემოკრატების წარმომადგენლებსაც, მედია და ბიზნესკორპორაციებს, ძალიან დიდ ჯგუფებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან საკუთარი მიზნების მიღწევაში, რათა მათი იდეოლოგია გავრცელდეს მთელ მსოფლიოში, რასაც ისინი დემოკრატიის ექსპორტს უწოდებენ. ეს კი არის ორმაგი სტანდარტები, პოლიტიკური ფარისევლობა, სრული მორჩილება, მათი ჰეგემონიის განმტკიცება, ფინანსური ინტერესების, ფინანსური სარგებლის ზრდა სხვა ქვეყნების ბუნებრივი რესურსების ხარჯზე. მათი დემონტაჟი არ იქნება მარტივი პროცესი. ამ ყველაფრის აშენებას და განმტკიცებას ეს ძალები ათწლეულებია ცდილობენ და ერთ ღამეში ამ ყველაფრის ჩამოშლა შეუძლებელი იქნება. ეს პროცესები აისახება ევროკავშირზეც და საქართველოზეც.

***– როგორია საქართველოს როლი ამ ბრძოლაში?***

– ამ ბრძოლაში ჩვენ კიდევ უფრო გავძლიერდით, მოღონიერდა სახელმწიფო ინსტიტუტები. ქართველი ხალხი პოლიტიკურად კიდევ უფრო გაიზარდა და მყარად დავდექით ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცების, მშვიდობისა და სტაბილურობის გზაზე. ჩვენი ეროვნული მიზანია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეს არის სწორედ ჩვენი ქვეყნის მიზნები და არა ის, თუ რომელ კავშირში გაწევრიანდება ან არ გაწევრიანდება საქართველო. ევროკავშირი იქნება თუ სხვა რომელიმე გაერთიანება, უნდა დავინახოთ, როგორც ინსტრუმენტი და არა როგორც ეროვნული მიზანი. საბოლოოდ უნდა გავთავისუფლდეთ ევროინტეგრაციის თემის პოლიტიკური მძევლობისგან, იმისთვის, რომ მომავალში აღარ დადგეს ჩვენი ქვეყანა ასეთი საფრთხეების წინაშე. 26 ნოემბრის გადაწყვეტილებაც ამას ემსახურებოდა, რომ ყოველ 3-4 თვეში ერთხელ არ დავდგეთ რევოლუციური პროცესების წინაშე და ქვეყანა მუდმივად არ ვაყანყალოთ. ბოლო სამი წელია საქართველოში ვხედავთ სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპს, მაგრამ ამ ფონზე პოლიტიკური ტურბულენტობა, ქუჩებში მასობრივი არეულობები, სახელმწიფო შენობებზე შტურმი, ცეცხლი, მასობრივი არეულობები თბილისში იყო სერიოზული ზიანის მომტანი საქართველოს ეკონომიკისთვის. სწორედ იმ ორპირ ბიზნესმენებს უნდა დაეკისროთ კომპენსაცია იმ ზიანისთვის, რაც ქვეყანას მიაყენეს.

***– რას ელოდებით 29 დეკემბერს, როგორ განვითარდება მოვლენები?***

– 29 დეკემბერს ველოდებით საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას მშვიდობიან ფორმასა და ვითარებაში. ეს იქნება წერტილის დასმა მასობრივ ევროისტერიკაზე, რასაც ჩვენ თვალს ვადევნებდით უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ქვეყანაში. წარმოიდგინეთ, 4-წლიანი ვადა, რომელიც არჩევნების შედეგად ეძლევა ხელისუფლებას, „ქართულმა ოცნებამ“ გაატარა მუდმივ რევოლუციურ რეჟიმში, დაიწყო ეს 2020 წლის არჩევნების არაღიარებით, ხელოვნური პოლიტიკური კრიზისით და გაგრძელდა ევროინტეგრაციის თემით. ჯერ იყო სტატუსის მინიჭების თემა, მერე მოლაპარაკებების გახსნის, სანქციების საკითხი. მუდმივი რევოლუციის რეჟიმში აცხოვრეს ქვეყანა. რაც დრო გავა, უფრო მეტად გავაცნობიერებთ, თუ რა მნიშვნელობისა და მასშტაბის ბრძოლა მოვიგეთ ჩვენ ამ 4 წელიწადში. ეს იქნება საწყისი იმ გრძელი გზის, რასაც ჰქვია ქვეყანაში მშვიდობისა და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება. საერთოდ, ამ ახალ გლობალურ წესრიგში, რომელიც ჩვენ თვალწინ იწერება და იქმნება, საქართველო მოიპოვებს ღირსეულ ადგილს. ჩვენმა ქვეყანამ პატივისცემა დაიმსახურა.

**შორენა ქარჩავა.**

„რეპორტიორის“ არქივიდან

# კლასიკა!



**(ვიდრე „ფარდა არ დახურულა“, ანუ, წარსულის გაკვეთილები თანამედროვეთათვის)**

ერთი ისტორია გამახსენდა, რომელიც ლეგენდად(!) გადმოგვეცემა – მოგვყვება თაობებს...

**ჭკუის სასწავლებელია, გასააზრებელი!..**

ისე ვყვები, როგორც შემორჩა მეხსიერებას:

1924 წლის აჯანყების სისხლიანი ჩახშობის შემდეგ, „ჩეკამ“ რეპრესიები გააძლიერა. უამრავ ოჯახს შეეხო ეს უბედურება. რა თქმა უნდა, საზოგადოება დაიზაფრა.

არაერთი პატრიოტი ცდილობდა გამწარებული ოჯახების მორალურ თუ მატერიალურ დახმარება – გამხნევებას. ჩუმად, მალულად, რამეთუ არავის უნდოდა „შარში გახვევა“...

მაგრამ იყვნენ ერთეულები, ვისაც ეყო გამბედაობა და საჯაროდ თუ არ დაგმო, რაღაც ფორმით მაინც გამოხატავდა წუხილს, რეპ-



რესირებულთათვის მხარდაჭერას...

ვაჟკაცური ნაბიჯი გადადგა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ. მან მონახა პროტესტის გამოხატვის მანამდე უჩვეულო ფორმა: თეთრ ჩოხაში გამოწყობილმა, თეთრ ცხენზე ამხედრებულმა რამდენჯერმე აუარ-ჩამოუარა „ჩეკას“ შენობას, ერთი-ორჯერ არცთუ სასიამოვნო ლექსიკით სავსე შეძახილიც მიაყოლა ამ „დემონსტრაციას“...

უამრავი ხალხი უმალ შეიკრიბა „სეირის“ სანახავად. იყო მხარდაჭერის გაუბედავი შეძახილებიც, მორიდებული ტაშიც, ისევე, როგორც ამ პროტესტის დაგმობის მცდელობებიც...

ერთი სიტყვით, მხედარი წასვლას არ ლამობდა. პირიქით, თანდათან გამომწვევადაც იქცეოდა და ხმამაღალი ანტისამთავრობო მოწოდებებით „ცეცხლზე ნავთს ასხამდა“...

როცა „წარმოდგენამ“ კულმინაციას მიაღწია, „ჩეკას“ შენობის აივანზე გამოჩნდა მაშინდელი „პირველი ჩეკისტი“, აჯანყების ჩახშობის მთავარი ორგანიზატორი ლავრენტი ბერია.

მომავალმა „რკინის მარშალმა“ ჯერ რაინდ გამსახურდიას შეუძახა:

– კოწია, ძალიან კი გინდა დაგაპატიმრო და ცოტნე დადიანის მანტია მოისხა, მაგრამ... რომ გასკდე და გაიხიო უკანალზე, არ დაგიჭერ და არ გადაგაქცევ წამებულ ეროვნულ გმირად!

შემდეგ კი მაყურებლებს დაუცაცხანა:

– თქვენ რა, სხვა სასეირო ადგილი ვერ მონახეთო, თუ ყველანი ჩაგაყუდოთ ახლა დილეგშიო და...

„სპექტაკლი“ უმალ დამთავრდა. სამაგიეროდ ეს ისტორია, თითქმის ასი წლის შემდეგ დღესაც ცოცხლობს ხალხის მეხსიერებაში.

**P.S.**: ეჰ, საქართველოს როგორ აკლია:

– თანამედროვე ცოტნე დადიანები...

– კონსტანტინე გამსახურდიები...

– ჭკვიანი, „სუფთა ხელები ან“ პროკურორებიც, არაკლანური მოსამართლენი...

– განათლებული(!), არასაეჭვო გზით მოპოვებული დიპლომების მქონე, ხალხის სამსახურში გულწრფელად მყოფი არალობისტი დეპუტატებიც...

– მთავრობის თავმდაბალი და უანგარო წევრები...

– და, რა თქმა უნდა, გონიერი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე, ოჯახში აღზრდილი... ოპოზიციონერები, არასამთავრობო ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენენ მხოლოდ პოლიტიკურ თანამოაზრეებს, ნაღდ სამოქალაქო სივრცეს – გულანთებულ, უანგარო, ნამდვილად ქვეყნის დემოკრატიული წინსვლის მოსურნე საზოგადოებას, არ მოქმედებენ ქვეყნის შიგ თუ, გარეთ მოქმედი პოლიტიკური თუ.



სპეცდანიშნულების სტრუქტურების კარნახით, მათი ინტერესების სასარგებლოდ და არ ფინანსდებიან უთოფო ყაჩაღობით ქვეყნისთვის წაგლეჯილი ფულით თუ სხვა, საეჭვო წარმომავლობის სახსრებით!

**(ჟურნალისტებზე, ტელევარსკვლავებზე და „პუბლიცისტკებზე“ სხვა დროს)...**

**ნუგზარ ფოფხაძე**

# გულითადად გილოცავთ ლიტერატურული პრემია „ანას“ გამარჯვებულნო!

**საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ლიტერატურული პრემია „ანას“ 2024 წლის გამარჯვებულთა ვინაობა ცნობილია.**



პრემია „ანა“

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, პრემია გადაეცა:

– ნომინაციაში „ქალი პოეტი“ – **მანანა ჩიტიშვილს;**

– ნომინაციაში „ქალი პროზაიკოსი“ – **მაკა ჯოხაძეს,** კრებულისთვის „ისკარიოტის ეკლები“;

– ნომინაციაში „ქალი მთარგმნელი“ – **რუსუდან ღვინეფაძეს** ფრანც კაფკას „დღიურების“ თარგმანისთვის.

ნომინაციისთვის „ქალის თემაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოების ავტორი“ კონკურსი არ შედგა.



მ.ჩიტიშვილი

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ კონკურსის სიმბოლოებითა და ფულადი პრემიით (5 000 ლარი).

გამარჯვებულები საკონკურსო კომისიამ გამოავლინა.

ლიტერატურული პრემია „ანა“ დიდი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის სახელს უკავშირდება და ქალებსა და ქალ მწერლებს ეძღვნება. ყოველწლიური კონკურსი საქართველოს კულტურის სამინისტრომ 2022 წელს დააფუძნა. კონკურსის ძირითადი მიზანია ქალი ავტორების წარმოჩენა, ხელშეწყობა და წახალისება. ამასთანავე, ერთი ნომინაცია ეხება როგორც ქალ, ისე მამაკაც ავტორებს და გაიცემა ნაწარმოებისთვის, რომელიც ქალებთან დაკავშირებულ თემებს ეძღვნება.



მ.ჯოხაძე

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსისთვის 2024 წელი განსაკუთრებულია, ვინაიდან წელს ქართული პოეზიის დედოფლის, ანა კალანდაძის, დაბადებიდან 100 წელი გავიდა.

პრემია „ანას“ მოსაპოვებლად კონკურსი მიმდინარე წლის 19 აგვისტოს გამოცხადდა და სამინისტროს 31-მა დაინტერესებულმა პირმა მომართა.



რ.ღვინეფაძე

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ულოცავს გამარჯვებას პრემია „ანას“ ლაურეატებს.

# მერი დავითაშვილის რჩეული ნაწარმოებები

## კომპოზიტორთა კავშირმა კრებულის წარდგენას უმასპინძლა

**საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის საკონცერტო დარბაზში სანოტო გამოცემის „მერი დავითაშვილი – რჩეული ნაწარმოებები“ პრეზენტაცია გაიმართა. კრებული კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით გამოიცა და მიეძღვნა საიუბილეო თარიღს – მერი დავითაშვილის დაბადების 100 წლისთავს.**

კომპოზიტორთა კავშირის მიერ ახალდაარსებული მერი დავითაშვილის პრემია ღონისძიებაზე გადაეცა კომპოზიტორ კახა ცაბაძეს.

სანოტო კრებულის პრეზენტაციაზე ასევე გაიმართა კომპოზიტორ მერი დავითაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მუსიკალურ-დოკუმენტური ფილმის „და ესე გავხდი საბავშვო“ ჩვენება. ფილმის იდეის ავტორი და რეჟისორია **დიმიტრი ბუთლიაშვილი.**





დოკუმენტური ფილმის „და ესე გავხდი საბავშვო“ დასრულება კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი. კერძოდ, პროექტმა გაიმარჯვა კონკურსში – „დოკუმენტური/სამეცნიერო-პოპულარული კინოს ხელშეწყობა“. ამ კონკურსის მიზანია სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური კინოს განვითარების მხარდაჭერა და თავისუფალი ხელოვანების/კერძო სტუდიების შემოქმედებითი საქმიანობის წახალისება. ფილმი წარმოაჩენს ბრწყინვალე საბავშვო კომპოზიტორის, მერი დავითაშვილის, ცხოვრებასა და მის ბევრისათვის საყვარელ და ნაცნობ, მუსიკალურ შემოქმედებას.

# დედამიწაზე დღე-ღამის ხანგრძლივობა იცვლება!



**დედამიწის ბირთვში მიმდინარე ცვლილებებმა დღე-ღამის ხანგრძლივობაზე შეიძლება იმოქმედოს, – ნათქვამია შვეიცარიელი სპეციალისტების კვლევაში, რომელიც სამეცნიერო ჟურნალ Geophysical Research Letters-ში გამოქვეყნდა.**

მიუხედავად იმისა, რომ დღე-ღამის ხანგრძლივობა სტაბილური ჩანს, სინამდვილეში ცვლილებები ფიქსირდება.

დედამიწა ტრიალებს ღერძის ირგვლივ, მაგრამ მისი მოძრაობა ყოველთვის არ ჯდება 24 საათში. დღე-ღამის ხანგრძლივობაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის მთვარის გრავიტაციული ზემოქმედება და პროცესები, რომლებიც დედამიწის ქერქში შეიმჩნევა.

დღე-ღამის ხანგრძლივობაზე ზემოქმედება ასევე შეუძლია იქონიოს ყინულის დნობამ და წყლის მოცულობის ცვლილებამ.

მეცნიერებმა შეიმუშავეს ახალი მეთოდი იმისთვის, რომ დღე-ღამის ხანგრძლივობის რყევების უფრო ზუსტი ანალიზი მოახდინონ. ამისთვის მათ გამოიყენეს ნეიროქსელები და მონაცემები დედამიწის მაგნიტური ველის შესახებ, რომლებიც სპეციალური კვლევების შედეგად იყო მიღებული. ასევე, გამოყენებული იყო მონაცემები მზის დაბნელების შესახებ, რომლებიც აძლევს მეცნიერებს საშუალებას, დააკვირდნენ პლანეტის ბრუნვის ცვლილებებს.

საქართველოს რესპუბლიკა

ჩვენ

№151-152. ორშაბათი, 30 დეკემბერი, 2024 წელი

# სალომეს რევოლუცია იფუშება!



მესამე გვერდიდან

ცვლილებებისათვის" (გვარამია). ნიკამ სტუმრის მიერ ხელისუფლების მონახულება მისი ლეგიტიმურობის აღიარებად ჩათვალა და შეხვედრაზე არ მივიდა. ალან ბერსე შეხვდა მაშინდელ პრეზიდენტსაც, რომელმაც მერე სულ წყევლით აიკლო სტუმარი.

ერთი სიტყვით, ოფიციალური ვიზიტით, რაც მთავარია, კეთილშობილი მიზნით ჩამოვიდა ძალზე მაღალი რანგის ევროპელი პოლიტიკოსი, რათა გარკვეულიყო, რა ხდება ამ აღრეულ საქართველოში და როგორ თუ ჩვენს გარდა „არალეგიტიმურ" ხელისუფლებასაც შეხვდაო, კინაღამ ჰააგის სასამართლოში უჩივლეს.

ასეთი სამართლიით ჭრის და კერავს ოპოზიცია, მას ხომ სიმართლე არ გაეგონება, საერთაშორისო მასშტაბითაც, ბრმა და ყრუა. ამიტომაც გვჭირს ერთი აუხსნელი ამბავი. რაც უფრო ვუახლოვდებით ნათელ მომავალს, მით უფრო გვისხლტება იგი ხელიდან. ჩვენ მისკენ მივიწევთ, ის კი უკან იხევს და ვართ ასე, გადარბენაზე. ქართულ ოპოზიციას და პოზიციას შორის არასდროს ყოფილა, და მით უფრო დღეს არ არის რაიმე, შეხების წერტილი. არც ის შველის, რომ სამშობლო ერთი, საერთო გვაქვს.

* * *

**რაც** უფრო ახლოვდებოდა 29 დეკემბერი, ახალარჩეული პრეზიდენტის მიხეილ ყაველაშვილის ინაუგურაციის დღე, მით უფრო ბევრს და გაუგებრად ლაპარაკობდა ვადაგასული პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. ამაყად აცხადებდა, 29 დეკემბრის შემდეგაც ვიქნები ის, რაც ვარ – საქართველოს პრეზიდენტიო, ვიქნები იქ, სადაც ვარო, ანუ ორბელიანთა სასახლეშიო, მაგრამ მერე და მერე ის პოსტულატი, 29-ის შემდეგაც იქ ვიქნები, სადაც ვარო, თითქოს სადღაც მიიკარგა, პარტიულმა ოპოზიციამ კი პრეზიდენტის და საკუთარი თავის გასამხნევებლად, სალომეს აღმატებულობის ხაზგასმას უმატა.

ნიკა გვარამიამ, რომელსაც, როგორც ვიცით, პირდაპირ გულზე ეხატება სალომე ზურაბიშვილი, თავისი და პარტიის სახელით განაცხადა: ჩემი პოზიციაა პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნები, მაგრამ ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტმა უნდ გამოიტანოს და ხალხს ამცნოს. ეს მისი ფუნქციაა, როგორც ამ ქვეყნის ერთადერთი ლეგიტიმური მმართველისო.

სელაპი უნდა იყო, რომ ვერ მიხვდე, გვარამია, რომელსაც ძალიან უჭირს თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა, როცა დარწმუნებული არ არის, საბოლოოდ რა გამოვა აქედან, პრეზიდენტს აფრიალებს დროშად.

ამაზე კარგი პასუხი გასცა „ხალხის ძალის" დეპუტატმა გურამ მაჭარაშვილმა: „ზურაბიშვილს რომ პარლამენტის დათხოვნა შესძლებოდა, აქამდე ცხრაჯერ დაითხოვდა. მან კარგად იცის, რომ ეს შეუძლებელია. მაგრამ არის გარკვეული პანიკა, მათ შორის, კოლექტიურ ნაცმოძრაობაში, პანიკა აქვს თვით ზურაბიშვილსაც". მამუკა ხაზარაძემ სულ იანცა, უკიდურესობამდე მივიდა: ჯარს მოუწოდა დაუმორჩილებლობისაკენ. არ დაემორჩილოთ ახალ პრეზიდენტსა და უმაღლეს მთავარსარდალს მიხეილ ყაველაშვილს, მხარში დაუდექით „ქართული ოცნების" ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებულ ხალხსო. „გულმავიწყი" ქალბატონი სალომე კი პირდაპირ სასაცილოა თავისი გულმავიწყობით. მას დაავიწყდა, დღეს მისი მაფიცარი ხალხი (განსაკუთრებით ნიკა გვარამია) რა მკაცრად, უშვერადაც კი ლანძღავდა ცოტა ხნის წინათ.

მაგრამ მთავარი ეს მაინც არ არის, სჭირდება და „ივიწყებს". მთავარი ის არის, რომ ივიწყებს თავის ნათქვამსა და ნამოქმედარსაც. მაგალითად, პირწმინდად დაავიწყდა 2017 წლის აპრილში პარლამენტის ტრიბუნიდან მგზნებარედ რომ მიმართა მაშინდელ პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს: „სამწუხაროდ, გაერთიანებისა და მიუკერძოებლობის სიმბოლოს ნაცვლად, ნელ-ნელა იქეცით საზოგადოების ერთი ნაწილის პოზიციების გამხმოვანებლად, გადახვედით სახელმწიფო მოღვაწეობიდან პოლიტიკურ არენაზე, უკიდურესი შემთხვევების ნაცვლად ვეტოებით ხმალაობთ, ჯანსაღი დისკუსიის ნაცვლად დაძაბულობის მაგალითს იძლევით"...

**მაშინდელი პრეზიდენტი უარესი სიტყვების ღირსიც იყო, მაგრამ აქ პარადოქსული ის არის, რომ როგორც კი თვითონ გახდა პრეზიდენტი, ზუსტად ისე (და კიდევ უარესად) წარმართა თავისი მოღვაწეობა, როგორც სხვას უკიჟინებდა. ბოლოს კი რევოლუციასაც ჩაუდგა სათავეში და ქვეყანა სასიკვდილო დარტყმის წინაშე დააყენა.**

მაგრამ არც ისეა საქმე, როგორც ზემორე სიტყვების შემდეგ გვგონია. სალომემ დემოკრატიასაც მიმართა, სამართლიანობის მაგალითიც გვიჩვენა: მან ბიძინა ივანიშვილი, ხელისუფლების მთავარი ძალა, რამდენიმე დღის წინ ორბელიანთა სასახლეში მიიწვია, ახალი არჩევნების თარიღზე შესათანხმებლად.

ბიძინა მიწვევას არ გამოეხმაურა. ქ-მა სალომემ კი იმ მიწვევიდან მეორე დღესვე მუქარიანი მიმართვა გაავრცელა, ამ კომპრომისის ალტერნატივა მხოლოდ რეჟიმის ჩამოშლააო!..

ქუჩაშიკი მომიტინგეთა ჩამონათვალი სულ უფრო ოდიოზური ხდება. ის, რომ რუსთაველზე ყოველ საღამოს მარშით გაიარა ერთმანეთთან რაღაცით დაკავშირებული ადამიანების ჯგუფმა, აუცილებლობად და იმის მანიშნებლად იქცა, რომ ქვეყნის მთელი მოსახლეობაა ჩართული „რევოლუციაში", პიროტექნიკით ბრძოლები კი, დასაწყისი 3-4 დღის შემდეგ, მადლობა ღმერთს, აღარ ყოფილა!..

29 დეკემბრის გათენებამდე ტვინს ვიჭყლეტდი:

როგორ წარიმართება სალომეს რევოლუცია? მართლა ჩამოიშლება ქვეყანა, როგორც შეუკავებელი სიხარულით ვარაუდობს ოთხი, ფაქტობრივად კი ქვეყნის ამრევი ერთი პარტია, თუ ქოცები ისევე მშვიდად, უფაციფუცოდ დაასრულებენ საქმეს, როგორც თავიდან მოჰყვებიან? ხალხი ჯერჯერობით დიდი თავშეკავებით ადევნებს თვალს ვითარებას, ჯერ არ ჩართულა ამ უკუღმართ პროცესში. არა იმიტომ, რომ მისთვის სულერთია რა ხდება, რით დასრულდება ყოველივე. პირიქით, ეს მისი ხვალინდელი დღეა, მისი ცხოვრებაა და თუ საჭირო გახდა, თავის სიტყვასაც იტყვის!..

გუშინ კი, „ოცნებამ" ოლიმპიური სიმშვიდით, აკადემიურად აირჩია ახალ პრეზიდენტად მიხეილ ყაველაშვილი...

„რევოლუციონერი" სალომე კი ორბელიანების სასახლიდან ქუჩაში გამოვიდა...



**ალეკო ასლანიშვილი**

## საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახალი უფროსი ქეთევან კვინიკაძეა



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად **ქეთევან კვინიკაძე** დანიშნა, რომელიც მანამდე საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის თანამდებობას იკავებდა.

## სენაკის სამხედრო ბაზაზე სამხედრო მოსამსახურეთა შვილებს ახალი წელი მიულოცეს!



**გორსა და ქუთაისში მდებარე თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების შემდეგ, სამხედრო მოსამსახურეების შვილებისთვის საახალწლო ღონისძიებას ამჯერად სენაკში მე-2 ქვეითმა ბრიგადამ უმასპინძლა. დაღუპული, დაჭრილ-დაშავებული და მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების შვილებს დამდეგი შობა-ახალი წელი თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა გელაძემ და თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა მიულოცეს და მშვიდობა, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა უსურვეს.**

სენაკის სამხედრო ბაზაზე ბავშვებს სხვადასხვა გასართობი პროგრამა შესთავაზეს. მათთვის საახალწლო განწყობის შექმნაზე ქართველმა მომღერლებმა, ანიმატორებმა და ზღაპრის გმირებმა იზრუნეს. მოეწყო საახალწლო სოფელიც, სადაც პატარებმა თოვლის ბაბუასთან სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს და საჩუქრები მიიღეს. სამხედროების შვილებს ბრიგადაში არსებული ტექნიკისა და აღჭურვილობის დათვალიერების საშუალებაც მიეცათ.




## პირველადი მოხმარების ნივთები და საახალწლო ნობათი ომალოში!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენმა 28 დეკემბერს მორიგი ავიარეისი შეასრულა თუშეთის მიმართულებით და ადგილობრივ მოსახლეობას საახალწლო ნობათი ჩაუტანა.**

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი თუშეთში იმყოფებოდნენ, მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობას საახალწლო ნობათები გადასცეს და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს.

„ტრადიციისამებრ, თუშეთში მოზამთრე ოჯახებს ჩამოვუტანეთ პირველადი მოხმარების ნივთები და საახალწლო ნობათი. მინდა თუშეთიდან კახეთის რეგიონს და სრულიად საქართველოს დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო", – განაცხადა სახელმწიფო რწმუნებულმა კახეთის მხარეში გიორგი ალადაშვილმა.

## ულმერთო ვანდალებმა ანჩისხატის ტაძარს კვერცხები ესროლეს



**„სამწუხაროდ, 28 დეკემბრის დილით ღვთისმსახურებაზე მოსულებს ვანდალიზმის ფაქტის დაფიქსირება მიგვიხდა. თბილისის უძველესი ტაძრისა და ნაგებობის, თავად წმინდა ვახტანგ გორგასლისა და დაჩი უჯარმელის მიერ აგებული ღვთისმშობლის შობის სახელობის ანჩისხატის ტაძრის დასავლეთ ფასადი და კარი (ძირითადი შესასვლელის მხარე) ნასროლი კვერცხებით იყო მოთხვრილი.**

ღმერთმა ღირსეულად მოანანიებინოთ ამის ჩამდენთ უფლის ტაძრისა და საკუთარი თავის ასეთი შეურაცხყოფა.

გულდასაწყვეტია, რომ უკანასკნელ პერიოდში ეს არის საეკლესიო სივრცეების და სიწმინდეების, ჩვენი ქვეყნის ეროვნული მემკვიდრეობის მკრეხელურად წაბილწვისა და დაზიანების კიდევ ერთი შემთხვევა.

ანჩისხატის ტაძარი 1520 წელზე მეტია დგას საქართველოს დედაქალაქში როგორც ჩვენი ხალხისა და დედაეკლესიის გამძლეობის, ერთიანობისა და გამარჯვების მეტყველი სიმბოლო. უფლის მადლით ტაძარში ისევ გაგრძელდება ლოცვა საერთო მშვიდობისა და ღვთის წინაშე გამართლებისათვის.

**ღმერთმა დაიფაროს ჩვენი სამშობლო და დედაეკლესია!"**, – წერს სოციალურ ქსელში მამა არჩილ ხაჩიძე.

# ცხოვრებით დაბრძენებული
# სულით ძლიერი კაცები





**შემოდგომის მზით გამთბარი კოპწია ქალაქის ცენტრში აღმოვჩნდი, მშვენიერებას ქმნის ქალაქის თავზე წამომდგარი ჭყონდიდის მონასტრის დიდებულება, რომლის მართლმადიდებლური ძლევამოსილება და სულიერი ზეციურობა საუკუნეების მიღმეთიდან მოდის და დღემდე აქცევს მას გამორჩეულად.**

აქ იგრძნობა სუფევა სამი წმინდანის: გიორგი ჭყონდიდელის, ამბროსი ხელაიას და ანტონ ჭყონდიდელის, ამიტომ სავსებით მისაღებია, რომ ჭყონდიდში (ამჟამინდელი მარტვილი) ტარდება სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს დამფუძნებელი შეკრება.

მაგიდას უზის ოცდაათამდე მხცოვანი, ცხოვრებით დაბრძენებული ადამიანი. ცენტრში ერთმანეთის გვერდით სხედან ორი თმადათოვლილი, ჭარმაგი ბატონები ფრიდონ ინჭია და დემურ გადელია, რომლებიც მაღალი, ნათელი შუბლებით და გამჭოლი მზერით გვანან ერთმანეთს. ორთავენი სამეგრელოს ულამაზესი მხარის, მარტვილის შვილები არიან.

კოლხურ საოცრებათა საბუდარია ჭყონდიდი.

როცა მარტვილზე ფიქრობ, უნებლიეთ ამოტივტივდება გონებაში დადიანთა და მიურატთა საზაფხულო რეზიდენცია, მთიდან მორაკრაკე მდინარე წაჩხურას გასწვრივ გაშენებული სალხინოს კომპლექსი, მართლაც რა შეედრება მარტვილის კანიონს, ლებარდის სამკურნალო წყლებს, აქა-იქ შემორჩენილ ოჯალეშის ზვრებს, კავკასიის მთებს შეხიზნული ასხისა და ქვიბიის იდუმალ ტყე-გორაკებს, აკაციის, ცაცხვის, მუხის კორომებს...

ბუნება ქმნის ადამიანში განუმეორებელ ესთეტიკას, სიცოცხლის, სიკეთის რწმენას.

**არა მხოლოდ ფუძით ჭყონდიდელობა აახლოებთ ფრიდონ ინჯიასა და დემურ გადელიას, არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მამულიშვილობის გამძაფრებული გრძნობა, პასუხისმგებლობა და კეთილქმედების გამოვლენის ზღვა სურვილი, ეროვნული ფასეულობებისადმი გაერთიანების საოცარი მზაობაც.**

შინაგანი ხმა მოუწოდებთ საზოგადოების აქტიური სამსახურისკენ. ამ შინაგანმა სიმართლემ შეაძლებინა ორთავეს გამხდარიყვნენ გამორჩეული, წარმატებული და გულმხურვალე მეცენატები.

ორივენი მუხასავით იდგნენ და დგანან თავიანთი საქმისა და ერის ძლიერების სადარაჯოზე. ნაყოფიერი იყო მათი პოლიტიკური, მოღვაწეობა საქართველოს პარლამენტში.

აუცილებლობას არ წარმოდგენს ბატონ ფრიდონ ინჭიასა და ბატონ დემურ გადელიას რთული ბიოგრაფიისა და მრავალმხრივი ნაღვაწის ჩამოთვლა. ეს მთელმა საქართველომ იცის.

ორივენი ფუტკარივით მშრომელი, ლამაზი სულის კაცები არიან!

ბატონი დემურ გადელია ნიჭიერი მეცნიერი, მრავალი წიგნის ავტორი და საქართველოში წარმატებული საწარმოს „არქეოპოლისის" სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარეა.

ბატონი ფრიდონ ინჭია ყოფილი კავშირგაბმულობის მინისტრია, ამ ურთულესი სფეროს პროფესიონალი მოღვაწეა...

**მკითხველს შევახსენებ ამ დინჯი, ცხოვრებით დაბრძენებული და გულანთებული პატრიოტი ქართველების გოგოქარი ცხოვრებიდან მხოლოდ თითო ეპიზოდს.**

* * *

**გასული** საუკუნის 90-იანი წლებია. დასავლეთ საქართველოში გაუსაძლისი მდგომარეობაა. სამოქალაქო დაპირისპირების ცეცხლი გიზგიზებს. იბომბება ქალაქები და სოფლები სამეგრელოში, ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეები და მთავრობის დაქირავებული, სამხედრო შენაერთი „მხედრიონი" სამკვდრო სასიცოცხლოდ ებრძვიან ერთურთს.



ფრიდონ ინჯია,
დემურ გადელია

დაილეწა, ჩაინგრა ბევრი ხიდი და ბოგირი, მათ შორის მდინარე ცივზე გადებული სამანქანო გზა-სავალი. აფეთქებამ გაწყვიტა კავშირგაბმულობის მთავარი მაგისტრალი. შეწყდა სატელეფონო კავშირი ქალაქებსა და რაიონებთან!..

კავშირგაბმულობის მინისტრს ფრიდონ ინჭიას დაევალა სასწრაფო ზომების მიღება, აღედგინა აფეთქებით გაწყვეტილი მაგისტრალი. მინისტრმა დაავალა მოადგილეს, სასწრაფოდ ჩასულიყო სამეგრელოში და მიეღო ზომები სატელეფონო კავშირის აღსადგენად.

ადგილზე მდგომარეობის გაცნობის შემდეგ მოადგილე ურეკავს ფრიდონ ინჭიას, რომ ჩანგრეულ ხიდს გაღმა დგას შეიარაღებული დაჯგუფება და წარმოუდგენელია რაიმე სამუშაოს წარმოება.

თითქმის გამოუვალ, სიცოცხლისთვის სახიფათო ჟამს, მინისტრი იღებს რთულ გადაწყვეტილებას, ყველაფრის ფასად თავად, საკუთარი ხელებით მოახერხოს გაწყვეტილი მაგისტრალის აღდგენა.

სასწორზე დევს სიცოცხლე, მაგრამ ახლა ის დროა, როცა აუცილებელია მისი გაწირვა.

ფრიდონმა თან იახლა ორი სპეციალისტი, თვალით მონიშნა სამოქმედო ადგილი და ხოხვით მივიდა ჩანგრეულ ხიდთან...

აკაკანდა ავტომატი.

იდაყვ და მუხლებგადატყაულები შეჩერდნენ. ტყვიები ბეტონის ნანგრევებს მოხვდა და მისამართი იცვალა.

ავტომატმომარჯვებულები ეტყობა ფიქრობდნენ, „მხოხავები" უკან გაბრუნდებოდნენ, მაგრამ არა, მუცლით ასფალტზე გართხმულებმა ღრმად ჩაისუნთქეს, ათი წუთის ლოდინის შემდგომ კი წინსვლა განაგრძეს.

ამჯერად გაფრთხილების ნიშნად ჰაერში აიჭრა ავტომატის ჯერი.

შიში უკვე დაძლეულია. ხოხვით ხიდის შუა ნაწილამდე მივიდნენ. გაგლეჯილი „მსხვილი კაბელის" ერთი ბოლო მოაჯირს ქვემოთ, ჰაერში ჰკიდია, მეორე ნაწილი ნანგრევებშია ჩაჭყლეტილი.

გაღმა ვიღაცა მიხვდა, რომ საქმიანი ხალხია.

ვიღაცის ბოხი ხმაც გაისმა. „რამე არ შეგეშალოთ, თორემ, ავტომატის მუშკაზე ზიხართ!

ფრიდონმა თავი ფრთხილად წამოსწია და ხელის დაქნევით ანიშნა „არა, არაო"! და ისევე ჯიუტად გააგრძელა მავთულების ბოლოების ერთმანეთთან მიერთება.

თითქმის ორი საათი დასჭირდათ დაგლეჯილი მაგისტრალის მოწესრიგებისთვის. ეს იყო უზომოდ გაწელილი დრო...

უკან წამოხოხდნენ. ძლივს სუნთქავდნენ, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, მაგრამ მოვალეობის შესრულების გამო, მაინც ბედნიერნი ჩანდნენ...

აღსდგა სატელეფონო კავშირი ყველა რაიონთან.

დღეს, როცა ამ გარდასულ ხიფათიან დღეს იხსენებს ფრიდონ ინჭია, მის თვალებში ცრემლიანი სევდა და ვარამი, გადარჩენის რწმენა იკითხება, რომელიც იმ ეროვნული უბედურების ხანაში მართლაც სიცოცხლეზე მეტად ფასობდა!..

* * *

**1989 წლის 19 ოქტომბერია.**

დილით, ტელევიზიამ ქვეყანას ამცნო სენაკის სამხედრო შენაერთის შეიარაღებული ამბოხებისა და ხელისუფლების დამხობის მცდელობის შესახებ.

ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხება საიდუმლოდ დაიგეგმა. მიზანი იყო ქვეყანაში ორხელისუფლებიანობის გამოცხადება. აჯანყებულებს დაგეგმილი ჰქონდათ რიკოთის უღელტეხილის ჩაკეტვა და ცენტრალური მთავრობისთვის ულტიმატუმის წაყენება, **გადამდგარიყო!**

ამბოხებას მეთაურობდნენ აკაკი ელიავა, რეზო ასმავა და ჯანდიერ ღვინჯილია. ღამის 12 საათზე მოქმედებაში მოიყვანეს მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის 18 ტანკი, მძიმე საზენიტო დანადგარები, 8 ბრონმანქანა და 600 მებრძოლი.

გათენებამდე ამბოხებულები ქუთაისისკენ დაიძრნენ.

გადაწყდა, ორად გაყოფილიყვნენ და სხვადასხვა მიმართულებით შესულიყვნენ ქუთაისში. ერთი ჯგუფი მარტვილის გავლით ხონში წავიდა, მეორე – სამტრედიის გავლით მიიწევდა წინ.

აჯანყებულთა ჯგუფს მდინარე ცხენისწყალთან დახვდა იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი და ჟურნალისტები. მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო. ამბოხებულებმა დაატყვევეს გუბერნატორი და მისი მომყოლები და მიმართულება ხონისკენ აიღეს, რომ ერთობლივად ემოქმედათ.

ხელისუფლება რთული ამოცანის წინაშე დადგა.

აჯანყებულთა მთელი შემადგენლობა გუბისწყალთან შეგროვდა და დაიწყო მზადება წინსვლისთვის. ამ რთული და დაძაბული მდგომარეობის მოსაგვარებლად აჯანყებულებთან მოლაპარაკების გამართვა სცადეს მთავრობის არმიის „გენერლებმა", უშიშროების მინისტრმა ჯემალ გახოკიძემ.

ამბოხებულებმა ყველანი დააკავეს.

ხელისუფლება ბოლო იმედს ჩაეჭიდა: აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად მიეგზავნათ სამეგრელოში ყველაზე ავტორიტეტიანი და გავლენიანი ადამიანები. რომლებიც მოახერხებდნენ და შეაჩერებდნენ ამბოხებულთა წინსვლას. გადაწყდა, ხონში ჩასულიყვნენ სენაკის გამგებელი **ტარიელ დგებუაძე** და გამოცდილი მეწარმე-მშენებელი **დემურ გადელია.**

დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა გადელიასა და დგებუაძეს.

ეს იყო დემურ გადელიას ავტორიტეტის, სახალხო დიპლომატიის ნიჭის გამოცდა, მისი კაცობის გამოცდა, ასე რუდუნებით რომ ძერწავს და აჩუქურთმებს თითქმის 60-65 წელიწადია!

როცა ხონში ჩავიდნენ, ორმხრივი სროლები გრძელდებოდა, დუღდა ძმათამკვლელი ომი – დაუნდობელი და სასტიკი.

ნებისმიერი იფიქრებდა, აქ რა მოლაპარაკების და დათმობის იმედი უნდა გქონდესო. ამბოხებულებს გადაწყვეტილი ჰქონდათ შაშიაშვილი, გახოკიძე და კობალაძე ტანკზე დაესვათ და ენახებინათ ქუთაისის მოსახლეობისთვის, რომ მათ არ ერჩიან, სურთ ზესტაფონამდე მშვიდობიანად მისვლა.

როცა ტანკების გრუხუნი და ტყვიების ორმხრივი სროლა მინელდა, გამოჩნდა შინაგან საქმეთა მინისტრი, წარმოშობით სენაკელი **შოთა კვირაია.**

გაჩნდა იმედის ნაპერწკალი.

**სამეული შეხვდა ამბოხების მეთაურს აკაკი ელიავას და ორსაათიანი, დამღლელი მოლაპარაკების შემდგომ აჯანყებულები დისლოკაციის ადგილზე დაბრუნდნენ. ამ სამეულთაგან ერთ-ერთი მთავარი მომრიგებელი დემურ გადელია იყო.**

**ეს იყო მორიგი წარმატება ადამიანისა, რომელსაც თავისი ხანგრძლივი და დღეგრძელი ცხოვრების გზაზე უამრავი ქარაფი გადაულახავს. ღირსეულად გამკლავებია ეროვნულ პრობლემებს და დღესაც ამაყად დგას ქვეყნისა და ხალხის სამსახურში.**

* * *

***ცალკე საუბრის თემაა, რა მძიმე დღეები გამოიარა ბატონმა ფრიდონ ინჭიამ სოხუმის დაცემის ჟამს, იგი იმ დღეს და მანამდეც აფხაზეთში იმყოფებოდა. გულისტკივილით იხსენებს, როგორ ურჩია ჟიული შარტავას, სამთავრობო ბუნკერიდან (თავშესაფრიდან) არ წასულიყო, რომ საშიშროება დიდია და მდგომარეობა სახიფათო!..***

წავიდა, თავი გასწირა და... ეროვნულ გმირად იქცა.

* * *

**ეს** ორი, ცხოვრებით გამობრძმედილი პიროვნება ჩაუდგა სათავეში „სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს", რომლის მიზნები და ამოცანები მრავალმხრივია. ის მოიცავს ქართული (მეგრული) ადათ-წესებისა და ტრადიციების დაცვას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას, მეგრული ენის პოპულარიზაციას, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მეგრული ეროვნული ტანსაცმლის, ფოლკლორის, პოეზიის, კერძების, ტრადიციების გაცნობას.

მნიშვნელოვან საკითხებს შორის მთავარია: **აფხაზ უხუცესებთან დიალოგი და შექმნილი მდგომარეობის დათბობისთვის ზრუნვა.**

ეს გახლავთ მცირე ჩამონათვალი იმ პრობლემებისა, რომელზეც იმუშავებს უხუცესთა საბჭო.

**ბატონ ფრიდონ ინჯიასა და ბატონ დემურ გადელიას ვულოცავ ახალ წელს და მხნეობას, წარმატებებს და სამშობლოს გადარჩენა-აღორძინებას ვუსურვებთ!**



**ბორის დავითაია,**
**სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს წევრი, სენაკის საპატიო მოქალაქე.**

◉ პატივგება



# ქუთათურებმა 2024 წლის საუკეთესო სპორტსმენები გამოავლინეს!

**ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ წლის საუკეთესო სპორტსმენები, გუნდები და მწვრთნელები. 2024 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტული მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონმა პარა მკლავჭიდში ვახტანგ ახობაძემ.**

სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები დააჯილდოვეს: ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **დავით ერემეიშვილმა**, პარლამენტარმა **ზაზა ლომინაძემ**, საკრებულოს თავმჯდომარემ **ირაკლი შენგელიამ**, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ **ლევან კიკნაველიძემ**, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა. წლის საუკეთესო სპორტსმენი ოლიმპიურ სახეობაში გახდა ძალოსანი **შოთა მიშველიძე**, წლის საუკეთესო სპორტსმენი არაოლიმპიურ სახეობაში – **ბეთქილ ონიანი** (მკლავჭიდი), წლის საუკეთესო პარაოლიმპიელი – **რევაზ თევდორაძე** (პარა მკლავჭიდი), წლის საუკეთესო ქალი სპორტსმენი – **ნანა ხორავა** (ძალოსნობა), წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი – **ზაზა ლომთაძე** (ძალოსნობა), წლის საუკეთესო ქალთა გუნდი – **ქუთაისის ფრენბურთელ გოგონათა ახალგაზრდული ნაკრები**, წლის საუკეთესო მწვრთნელი – **ირაკლი გამთენაძე**, წლის საუკეთესო სპორტული სკოლა – **ქუთაისის ომარ ფხაკაძის სახელობის მე-12 კომპლექსური სპორტული სკოლა**, წლის საუკეთესო კლუბები – **რაგბის კლუბი „აია“ და საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“**. წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული ასე გამოიყურება: **სანდრო ბაზაძე – ფარიკაობა, საბა ქარდავა – ძიუდო, ავთანდილ თუთბერიძე – მკლავჭიდი, გურამ გიორბელიძე – ძალოსნობა, მიხეილ ბაბუნაშვილი – რაგბი, გიორგი სულაბერიძე – კალათბურთი, ზურა წიქორაძე – სუმო, შოთა გოგობერიშვილი – უძლიერესი მამაკაცი, თორნიკე ლომთაძე-ძალოსნობა, დავით მხეცაძე – კრივი.** იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ **რევაზ რობაქიძემ** საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ჯილდო – ოლიმპიური სპორტის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის, წლის საუკეთესო მუნიციპალიტეტად აღიარებულ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას გადასცა. წლის საუკეთესო სპორტსმენების საზეიმო მიღების ღონისძიება ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ იყო ორგანიზებული.

◉ მრავალჟამიერ

# სპორტულ-პოლიტიკურ ტალღაზე

**როცა განვლილ სპორტულ წელიწადს ვაჯამებთ, წესით და რიგით, ამჯერად მაინც უნდა შევიკავოთ თავი პოლიტიკური წიაღსვლებიდან, მაგრამ ვინაიდან ძნელია თვალი დახუჭო და წაუყრუო უსამშობლოთა თუ ურწმუნოთა გამუდმებულ წნეხს ერის საამაყო შვილთა მიმართ, იძულებულნი ვართ ამ სადღესასწაულო დღეებშიც შემოგთავაზოთ საზეიმოსგან გარკვეულწილად განსხვავებული, თუნდაც სუსხიანი სტრიქონები.**

მართალია, სეზონის უმნიშვნელოვანესი მოვლენა პარიზი – 2024 იყო, მაგრამ ქრონოლოგიას ნუ ვუღალატებთ და ოლიმპიურ თამაშებს მოგვიანებით დავუბრუნდეთ, ახლა კი ქართული სანაკრებო ფეხბურთის დიდგორი გავიხსენოთ.

მას შემდეგ, რაც მარტში **ვილი სანიოლის** გაწვრთნილმა გუნდმა ისტორია დაწერა და გერმანული ევროს საგზური პირველად მოიპოვა, ბევრს ეჩვენებოდა, რომ საყოველთაო სიხარულმა ქვეყანა გააერთიანა, მაგრამ, როგორც გვჩვევია, მაშინაც ფხიზლობდნენ ორგულნი და ხან სახელმწიფოსა და ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ გაღებულ დამსახურებულ პრემიებზე ქილიკობდნენ, ხანაც იმავე პერიოდში ეგრეთ წოდებული რუსული კანონის გარშემო აგორებული სამარცხვინო კამპანიის გამო ცალკეულ ლეგიონერთაგან გამოთქმული სხვაგვარი პოზიციის გამო ანთხევდნენ მათ მიმართ ბოღმას.

იგივე ქაჯური პროცესები გაგრძელდა ზაფხულშიც – ფინალური ტურნირის დღეებშიც, აგრეთვე მოგვიანებითაც, მაგრამ ამასობაში ფრანგული ფორუმიც მოახლოვდა და, მოდით, ჩვენც მის ტალღაზე გადავერთოთ, მით უმეტეს, ჩვენმა საამაყო ოლიმპიელებმა კიდევ ერთხელ გვასახელეს და სპორტული სამყარო მორიგ ჯერზე აალაპარაკეს ქართული გენის გამორჩეულობის თაობაზე.

არადა, ყველაფერი სკანდალით დაიწყო – სენაზე მოწყობილ საზეიმო გახსნის ცერემონიალზე ორგანიზატორებმა ერთ-ერთ ეპიზოდად საიდუმლო სერობის გეივარიანტი წარმოგვიდგინეს, რასაც საკადრისი პროტესტი კი მოჰყვა, მაგრამ ოლიმპიური სულისკვეთების



შემბღალავი ფაქტები უშუალოდ თამაშების განმავლობაშიც გაგრძელდა, როცა, მაგალითად, ხუთრგოლიან სარბიელზე ქალად გადაკეთებული მამრები დაუსჯელობის გრძნობით ჩაგრავდნენ სუსტ სქესს. საინტერესოა, 2028 წელს ლოს-ანჯელესში, ტრამპის ამერიკაშიც გაბედავენ იგივეს გლობალისტები?

რაც შეეხება ჯვაროსანთა ტრიუმფს, **ლაშა ტალახაძემ** მესამე(!) ოქრო მოიხვეჭა, **ლაშა ბექაურმა** – მეორე(!), ხოლო **გენო პეტრიაშვილმა** პირველად შეაბიჯა ოლიმპზე და როგორც **ნინო სალუქვაძის**, ისე **ლაშა შავდათუაშვილის** შემდეგ მესამე ლეგენდარული თანამემამულე გახდა, ვის კოლექციასაც სამივე სინჯის მედალი ამშვენებს.

და როგორ გგონიათ, როგორ უზღავენ კეისარს კეისრისას სულგაყიდული ოპოზიციის ცხელი თავები? ისე, როგორც ყოველთვის, ანუ რადგან უპირატესობას მშვიდობას ანიჭებენ და მმართველი პარტიის სიით გახდნენ პარლამენტის წევრები, კოლექტიური ნაცმოძრაობის რისხვას გადაურჩებოდნენ? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მალე ეს მედროვეები აღარავის ემახსოვრება, თაობათა კერპებს კი დიდება არც მომავალში მოაკლდებათ.

ბუნებრივია, ცალკეული წარმატებებით, ტრადიციისამებრ, სხვა სახეობათა რჩეულებმაც გაგვახარეს (მაგალითად – რაგბი, წყალბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, პარასპორტი, კრივი, შერეული ორთაბრძოლები, კარატე, ფარიკაობა, ფიგურული სრიალი).

ვიმედოვნებთ, სპორტული რენესანსი გაგრძელდება და ჩვენებურთა კიდევ მრავალი მიღწევის აღსანიშნავად მოგვიწევს მისალოცი წერილების დაწერა. მრავალ შობა-ახალ წელს, ჩვენო სახელოვანო სპორტსმენებო!

◉ მეკვლე

# იქნებ, ჯობდეს...



**ფეერიული სანაკრებო და ავკარგიანი საკლუბო სეზონის შემდეგ ფრანგული ლიონის ფორვარდი გიორგი მიქაუტაძე გუნდის დეკემბრის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა.**

ოლიმპიკის ვებ-გვერდზე 17908 გულშემატკივრის მონაწილეობით ჩატარებული გამოკითხვით ჯვაროსანთა ბომბარდირმა 76 პროცენტი (13500 ხმა) დააგროვა და დიდი უპირატესობით ჩამოიტოვა უახლოესი კონკურენტები – რაიან შერკი და ნიკოლას ტალიაფიკო.

შეგახსენებთ, რომ ქრისტეშობისთვეში ჩვენმა თანამემამულემ 5 მატჩში 3 ბურთი გაიტანა (2 ლიგა-1-ში და 1 თასზე), სულ კი იქაურ სტადიონებზე წლეულს გამართულ 21 შეხვედრაში მის აქტივში 7 გოლი და 1 შედეგიანი გადაცემა დაგროვდა.

პარალელურად, კვლავაც აქტუალური რჩება იანვრის სატრანსფერო პერიოდში 24 წლის ქართველი შემტევის უკანასკნელი ნავსაყუდელიდან შესაძლო წასვლის თემა. როგორც ცნობილია, მისი დამატება თურქულ გალათასარაის სურს, საიდანაც ვიქტორ ოსიმენი აპირებს სხვაგან გადაბარგებას, უკანასკნელ ხანს გავრცელებული ინფორმაციების თანახმად კი, იგი გერმანულ ლევერკუზენსა და ინგლისურ ევერტონს დაუკავშირებს საკუთარ მომავალს, თანაც, ბოლომდე ჯერაც არ ჩამქრალა იტალიური იუვენტუსის ვარიანტიც.

ფუტ მერკატო: ლიონი საქმის კურსშია ფარმაცევტებისა და გუდისონ პარკის ბინადართა მხრიდან მიქაუტაძის დაინტერესების თაობაზე, ამიტომ გადამწყვეტი იქნება, თუ როგორ წარიმართება მოლაპარაკებები და რას მოისურვებს თვითონ ფეხბურთელი.

იმავდროულად, არ ცხრება სტამბოლური მედია, რომელიც დარწმუნებულია, რომ ჟორჟი საბოლოოდ მაინც ლომებს შეუერთდება.

თურქები წერენ, რომ გალამ ფრანგებთან მოლაპარაკებები საფეხბურთო მენეჯერ ჯორჯ გარდის მეშვეობით დაიწყო და ყველაფერს გააკეთებს, რომ მიქაუტაძე შეიძინოს. უფრო კონკრეტულად, ლიონი ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით თავისი სნაიპერის სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს ითხოვს, მეორე მხარე კი მხოლოდ 15 მილიონის გადახდაზეა თანახმა, თუმცა სეზონის ბოლომდე საიჯარო კონტრაქტზეც ყაბულსაა ქართველი მარგალიტის გამოსყიდვის ვალდებულებით. მეტიც – ბოსფორისპირული გრანდის თავკაცი ოქან ბურუქი იმდენადაა აღტაცებული ჟორჟის თამაშით, რომ ხელმძღვანელობას მოსვენებას არ აძლევს და ტრანსფერის სასწრაფოდ განხორციელებას ითხოვს.

...ვადასტურებ, რომ როგორც ფეხბურთელი, ძალიან მომწონს და მას უკვე 3 წელიწადია ვაკვირდები, მას შემდეგ, რაც გალა ჩავიბარე, ის კი ჯერ ლიგა – 2-ში მეცში თამაშობდა, შემდეგ აიაქსში გადავიდა და ამჟამად ლიონში ბრწყინავს. დიახ, ის დიდოსტატია, მაგრამ სხვებსაც ვაკვირდებით – გულახდილობს ბურუქ ეფენდი.

ვიდრე კვანძი გაიხსნება, ჟორჟი ლიონში რჩება და ნაახალწლევს 4 იანვარს ლიგა–1-ში აუტსაიდერ მონპელიესთან მატჩისთვის ემზადება, უკანასკ:ნელ მომენტში კი ზოგიერთმა წყარომ დაადასტურა მისი გალათასარაიში გადასვლის სურვილი.

იტალიის სერია ბ. ფროზინონე – სალერნიტანა 2:0. **გიორგი კვერნაძემ** აპენინებზე პირველი გოლი გაიტანა.

**jff ევორდს 2024-ის დაჯილდოება**. საუკეთესო მოთამაშე – **გიორგი მამარდაშვილი**. საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშაე – **საბა გოგლიჩიძე**. საუკეთესონი ასაკობრივ ნომინაციებში – **ლუკა ხარებაშვილი** (17-წლამდელები), **ჯაბა სამუშია** (19-წლამდელები), საუკეთესო ფეხბურთელი ქალი – **თეონა ბაქრაძე**. ფუტსალის საუკეთესო მოთამაშე – **გიორგი ღავთაძე**.

◉ მხარე

# კასპი „ა“ ლიგაშია!

**კასპში საკალათბურთო დარბაზი 6 წლის წინათ აშენდა და ახალგაზრდა პროფესიონალის გიორგი სიმონიშვილის გაწვრთნილი იქაური „გრიფინი“ უკვე „ა“ ლიგის საგზურს დაეუფლა, მალე კი, ვიმედოვნებთ, სუპერლიგაში აღზევებასაც მივულოცავთ.**

აღსანიშნავია, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულმა შიდაქართლელებმა საკვალიფიკაციო ტურნირის ოთხივე მატჩი დიდი უპირატესობით მოუგეს როგორ „მთიებს“, ისე „ასტრალს“ და სახელმწიფო სუბსიდირება დაიმსახურეს, რაც იმას ნიშნავს, რომ პროფესიულ კლუბად ჩამოყალიბდნენ.

დავძენთ, რომ აღნიშნული წარმატება როგორც ლეგიონერთა (მატისი, ბიუქენენი, გრეჰემი), ისე ჩვენებურთა (რუხაძე, მირზიაშვილი, ლომოური, იაგორაშვილი) ოსტატობას უკავშირებდა.

რაც შეეხება გუნდის სახელს, იგი მითიური ქმნილების გამეორებაა.

მოკლედ, 8 იანვარს კასპელები „ა“ ლიგის რეგულარულ ჩემპიონატში ჩაებმებიან.



სულთათანა

## ნიკოლოზ ყიფშიძე — ექიმი, მეცნიერი, მამულიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და ექიმი – გულ-სისხლძარღვთა სისტემის კვლევის ინტერვენციული მედიცინის დარგში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლოზ ყიფშიძე.

ნიკოლოზ ყიფშიძე გახლდათ აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში, ლენოქსჰილის, აშშ, ჰოსპიტლის საპატიო ექიმი, ამავე ჰოსპიტლის ინტერვენციული კარდიოლოგიის დეპარტამენტის კლინიკური კვლევების ასოცირებული დირექტორი, პრეკლინიკური გამოკვლევების დირექტორი, საქართველოს პარლამენტის წევრი.

ნიკოლოზ ყიფშიძე დაიბადა 1952 წლის 12 ოქტომბერს ქ. თბილისში. 1969-1975 წწ. წარმატებით სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. სწავლის დროს, იმთავითვე წარმატებით იყო ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. 1975 წელს მიღებულ იქნა მოსკოვის ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიული ცენტრის ასპირანტურაში, კარდიოლოგიის და რადიოლოგიის მიმართულებით. 1978 წელს, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, იქვე გააგრძელა მუშაობა, როგორც კლინიკური მეცნიერ-თანამშრომელმა კარდიოვასკულარ მედიცინაში და 1982 წლიდან, უკვე როგორც ამავე ცენტრის უფროს მეცნიერ-თანამშრომელმა. 1991 წლიდან ნიკოლოზ ყიფშიძემ გააგრძელა ნაყოფიერი მუშაობა, როგოც იმავე ცენტრის კათეტერიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა.

ნიკოლოზ ყიფშიძის სამეცნიერო მოღვაწეობამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და 1993 წლიდან ის მოღვაწეობას იწყებს ქ. მილუოკის, აშშ, ვისკონსინის სამედიცინო კოლეჯში, როგორც კარდიოლოგიის დეპარტამენტის პროექტის მკლევარი. 1995 წლიდან, იქვე აგრძელებს მუშაობას როგორც მოწვეული პროფესორი და შემდგომში, როგორც ასისტენტ-პროფესორი. ეს წლები აღსანიშნავია ნიკოლოზ ყიფშიძის როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიური მოღვაწეობით.

2004 წლიდან, ნიკოლოზ ყოფშიძე სამეცნიერო მოღვაწეობას აგრძელებს ლენოქსჰილის, ნიუ-ორკი, აშშ, ინტერვენციული კარდიოლოგიის დეპარტამენტში, როგორც კლინიკური კვლევების ასოცირებული დირექტორი.

ნიკოლოზ ყიფშიძის სამეცნიორო მოღვაწეობა მრავალფეროვანი და ღრმა იყო. მასში შედიოდა ბიოსამედიცინო კვლევების მრავალი ასპექტი, კერძოდ, გულ-სისხლძარღვთა სისტემის კვლევა, ინტერვენციული მედიცინა და პაციენტის მოვლის ძირითადი მიმართულებები, ხელსაწყოთა პროტოტიპირება, ექსპერიმენტული ფიზიოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია, გენური ინჟინერია და ანგიოგენეზე.

ნიკოლოზ ყიფშიძის მეცნიერული მოღვაწეობის შედეგია 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 2 სახელმძღვანელო (18 თავი), 24 საერთაშორისო პატენტი და აპლიკაცია.

2009 წელს ნიკოლოზ ყიფშიძე არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 2012 წელს კი მას მიენიჭა საქართველოს ეროვნული პრემია ნაშრომისთვის – „გადაუდებელი მედიცინა“.

ნიკოლოზ ყიფშიძე იყო გამორჩეული ადამიანური თვისებების, კეთილშობილური ბუნების მქონე ღირსეული პიროვნება. ძნელია შეეგუო ასეთი ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლას, მაგრამ სანუგეშოდ რჩება ის, რომ უკეთილშობილესი და მაღალპროფესიონალი ექიმი-მეცნიერის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და მადლიერი პაციენტების გულში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

არდავიწყება

## ცნობილი რეჟისორი გურამ (გიზო) გაბესკირია გარდაიცვალა



გიზო გაბესკირია იყო დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: „დათა თუთაშხია“ (1977 წელი, გიგა ლორთქიფანიძესთან ერთად), „ვასილ კიკვიძე“ (1980 წელი გ. კალატოზიშვილთან ერთად), „ზღვის მაშვრალნი“ (1986 წელი, „ქართული ფილმისა“ და საფრანგეთის „პატესინემას“ ერთობლივი ნამუშევარი ე. საშენთან ერთად).

1980 წელს რეჟისორმა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიიღო.

1997 წლიდან მოღვაწეობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიურ უნივერსიტეტში. 2001-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე. 2006 წლიდან იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის საპატიო პროფესორი.

გიზო გაბესკირია იყო თბილისის საპატიო მოქალაქე (2024).

სანთელი

## ბერდია ხვედელიძის ნათელ ხსოვნას!



წელს 85 წლის გახდებოდა. მხოლოდ 52 წელიწადი იცოცხლა.

1992 წელს, აგვისტოში, მოულოდნელად გარდაიცვალა მოსკოვში.

ბერდია ხვედელიძემ დატოვა წარუშლელი კვალი ნათესავებსა და მეგობრებში. გამორჩეული იყო გარეგნობით, ვაჟკაცური ბუნებით, ნაღდი ქართული ხასიათით, იუმორით. ის იყო ნაღდი, კოლორიტული პიროვნება.

მას ჰყავდა ცნობილი მშობლები და დიდი წინაპრები. მამა – ბორის ხვედელიძე, უმაღლესი მათემატიკის სახელმძღვანელოების ავტორი, დოქტორი, პროფესორი, აკადემიის წევრი იყო. დედა – მედეა კეკელია, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის მასწავლებელი, ცნობილი ლექტორი, ბაბუა – მიხა კეკელია, ისიც მათემატიკის ცნობილი პედაგოგი და გამომგონებელი. დიდი ბაბუა – ანტონ კეკელია ცნობილი სასულიერო პირი, დეკანოზი გახლდათ, მისი სიძე იყო ცნობილი ეთნოგრაფი თედო სახოკია.

მას დარჩა 2 ქალიშვილი და 6 შვილიშვილი. ჰყავდა მეგობრების დიდი წრე, მათ შორის ცნობილი სპორტსმენები, მოჭიდავე ლევან თედიაშვილი, თითქმის ყველა გამოჩენილ ფეხბურთელთან აკავშირებდა მეგობრობა. შოთა იამანიძე, მიშა მესხი, გიორგი სიჭინავა, სიომა ბარქაია, მურთაზ ხურცილავა, რომელიც მისი დედის სოფლიდან – ბანძიდან იყო და ბავშვობიდან მეგობრობდა...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბერდია ხვედელიძის სპეტაკი სული.

**ბავშვობის მეგობარი და ქრისტესმიერი ნათესავი**
**რომულ ჯიქია,**
**მეუღლით, შვილებით და შვილიშვილებით.**

## მსახიობი ოლივია ჰასის სახელი დაუვიწყარია



73 წლის ასაკში კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი ოლივია ჰასი გარდაიცვალა, – იუწყება **The Guardian**.

საყოველთაო აღიარება მსახიობს ფრანკო ძეფირელის „რომეო და ჯულიეტაში“ შესრულებულმა როლმა მოუტანა.

ჯულიეტას როლი მან 16 წლის ასაკში ითამაშა. ფილმი ეკრანებზე 1968 წელს გამოვიდა.

ოლივია ჰასი მძიმე ონკოლოგიურ დაავადებას ებრძოდა.

„ოლივია იყო არაჩვეულებრივი ადამიანი, რომლის სითბომ, სიბრძნემ და ნაზმა სიკეთემ გამოძახილი ჰპოვა ყველა იმ ადამიანის ცხოვრებაში, ვინც მას იცნობდა“, – ნათქვამია ჰასის ოჯახის წევრების განცხადებაში.



## ავიაკატასტროფაში 179 მგზავრი დაიღუპა

**სამხრეთ კორეაში სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად დაიღუპა 179 მგზავრი.**

ამ ეტაპზე, ცნობილია 2 გადარჩენილის შესახებ – არსებული ცნობით, ორივე მათგანი ეკიპაჟის წევრია.

შეგახსენებთ, ავიაკომპანია **Jeju Air**-ის კუთვნილმა ბოინგ 737-800-ის ტიპის თვითმფრინავმა კატასტროფა იმ დროს განიცადა, როდესაც მუანის საერთაშორისო აეროპორტში უნდა დაშვებულიყო.

საჰაერო ხომალდში 181 ადამიანი იმყოფებოდა, მათგან 6 ეკიპაჟის წევრი იყო, 175 კი მგზავრი.

# ცნობილი მეცენატის ვახტანგ ვეფხვაძის საახალწლო ნობათი

**დიდებული საჩუქარი მიართვა ქართველ მკითხველს საახალწლოდ ცნობილმა ბიზნესმენმა ვახტანგ ვეფხვაძემ – სახელოვანი ქველმოქმედისა და მეცენატის თაოსნობითა და უშურველი თანადგომით გამოიცა აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი წიგნი.**

დიდი პოეტისა და გულანთებული მამულიშვილის შესახებ ამ შესანიშნავად ილუსტრირებულ ძვირფას გამოცემაში (რედაქტორ-შემდგენელი ნანა ფრუიძე, დიზაინერი კახა ბახტაძე) თავად მგოსნის ლექსების გარდა, დაბეჭდილია მისი ოჯახის გენეალოგია, ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ რობაქიძის, გერონტი ქიქოძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების, პავლე ინგოროყვას, ნიკოლო მიწიშვილის, დემნა შენგელაიას, სიმონ ჩიქოვანისა და სხვათა მოგონებები, ასევე გრიგოლ აბაშიძის, აკაკი ხინთიბიძის, გურამ ასათიანის, ოტია იოსელიანის, თამაზ და ოთარ ჭილაძეების, ემზარ კვიტაიშვილის, გრიგოლ ჩიგოგიძის წერილები მისი შემოქმედების სხვადასხვა ასპექტის შესახებ.



„...ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოვახერხე, რომ გამომეცა გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძისა და ირაკლი აბაშიძისადმი მიძღვნილი კრებულები, რასაც ჩვენი საზოგადოება გულისყურით შეხვდა და რაც, არ დავმალავ, ჩემთვის დიდი სიამაყის ფასდაუდებელი საბაბია.

წარმატებით განცდილმა სიხარულმა სტიმული მომცა, რომ ეს ერთგვარი „ტრილოგია“ კიდევ გამეგრძელებინა და მომდევნო წიგნი „სულიკოსა“ და „ჩონგურის“ უკვდავი ავტორისთვის, – აკაკი წერეთლისთვის მიმეძღვნა.

...ამდენად, იმედი მაქვს, რომ მისდამი მიძღვნილი კრებულიც წინამორბედების მსგავსად შეძლებს ქართველი მკითხველის გულისაკენ გზის გაკვალვას.“ – წერს ბატონი ვახტანგ ვეფხვაძე გამოცემის მისეულ შესავალში „საქმე, რომელიც მეამაყება“.

მართლაც ორიგინალური, სულის გამწმენდი საახალწლო საჩუქარია, გმადლობთ, ბატონო ვახტანგ!

**ოთარ ტურაბელიძე**

# მაშ, გაუმარჯოს ასეთს, ვერვისგან ნაყიდ პრესას



თავი აიშვა პრესამ
რევოლუციის ქარში:
კაცურ კაცს სთათხავს
ქლესა,
დებილი აჰყავთ ცაში.
კონიუნქტურულს, დამპალს,
დამქირავებელს, ბეჩავს
და ცხრა მთავრობის
კახპას –
თავსლაფი მაგ თქვენს
პრესას!
კიდევ კარგი რომ არის, –
იყო და არის დღესაც, –
პრესა, იმედად ხვალის –
წარბშეუხრელი პრესაც!
მაშ, გაუმარჯოს ასეთს, –
სიტყვას და საქმეს
ჩვენსას, –
თითო-ოროლა გაზეთს –
ვერვისგან ნაყიდ პრესას!!!

**მურმან ლებანიძე**






# უმშვენიერეს სამგორის პარკში ერეკლე მეორის ძეგლი დაიდგმება

**ისნის რაიონში, ე.წ. სამგორის პარკის რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება. ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.**

რეკრეაციულ პროექტს დედაქალაქის მერი კახა კალაძე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან ერთად გაეცნო.

აღსანიშნავია, რომ პარკის შესასვლელში ერეკლე მეორის ძეგლის დადგმა იგეგმება. როგორც კახა კალაძემ განაცხადა, უკვე მიმდინარეობს პიედესტალის მოწყობის სამუშაოები.

„ისნის რაიონში მიმდინარეობს კიდევ ერთი რეკრეაციული პროექტი. ე.წ. სამგორის პარკი, რომელიც იყო კერძო საკუთრებაში, იყო მიგდებული, განადგურებული, აქ განთავსებული იყო რაღაც ატრაქციონები, რომელიც გაუბედურებული იყო. მოგვიწია ტერიტორიის გასუფთავება, მიმდინარეობს ახალი პროექტის განხორციელება, ბავშვებისთვის მოეწყობა შესაბამისი ატრაქციონები, რეაბილიტირდება საფეხბურთო მოედანი, მოეწყობა განათება და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, ძაღლებისთვის შესაბამისი სივრცე არის გამოყოფილი და ძალიან მაგარია, თუმცა ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი არის ის, რომ პარკის შემოსასვლელში, შსს-ს მხრიდან განთავსდება ერეკლე მეორის ძეგლი.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს პიედესტალის სამუშაოები და ვფიქრობთ, რომ შემოდგომაზე უკვე მთლიანად, როგორც პარკის, ასევე ძეგლის მონტაჟის სამუშაოები იქნება დასრულებული. თვითონ პარკს რაც შეეხება, საკმაოდ დიდი ტერიტორიაა და ერთობლიობაში ძალიან მაგარი იქნება. კიდევ ერთი რეკრეაციული სივრცე შეემატება დედაქალაქს, ირგვლივ უამრავი ოჯახი ცხოვრობს და პატარებს ექნებათ გართობის, დასვენების, ვარჯიშის შესაძლებლობა, თუმცა მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ერეკლე მეორის ძეგლი განთავსდება პარკის შემოსასვლელში“, – განაცხადა კახა კალაძემ.

პარკის ტერიტორიაზე უკვე დასრულდა გამწვანების სამუშაოები. მოეწყო სარწყავი სისტემა, შევიდა ნოყიერი მიწის ნაზავი, 17 854 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაიგო და დაითესა ბალახი, დაირგო 390 ძირი დიდტანოვანი ხე, 2 934 ძირი ბუჩქი და 1 400 ძირი ბალახოვანი მცენარე.

# „წიგნის ბუდე“ დიდუბეში

**ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა ტრაგიკულად დაღუპული უნიჭიერესი ძმების, ნიკა და ივიკო მახარობლიშვილების სახელობის „წიგნის ბუდე“ დიდუბეში, მათივე კორპუსთან განათავსეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, „წიგნის ბუდე“ მომარაგდა წიგნებით. უახლესი ლიტერატურა პერიოდულად განთავსდება სამკითხველოში, რომელიც ყველა მსურველისთვის ღიაა.



ძვირფასო მკითხველო!

გაზეთის გამოსაწერად დაუკავშირდით:
elva.ge: 577-30-88-47
„პლანეტა ფორტე“: 577-55-66-73

* * *

გთავაზობთ ტენდერების, აუქციონების, ვაკანსიების, ყოველგვარი რეკლამის, საიუბილეო და სამგლოვიარო განცხადებების განთავსებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. განცხადების ტექსტი შეგიძლიათ გადმოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
sak@sak.ge
rkobulia29@gmail.com
ან მობრძანდით რედაქციაში:
თბილისი, აკ. წერეთლის 116, „დიდუბე პლაზას“ შენობა, IV სართ. ოფისი №448, ტელ;
577-772717, 599360035

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 6 იანვარს